საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 ივნისი **ორშაბათი** 2012 №142 (13 748) ფასი 80 თეთრი

## მითი რუსეთის ნაკრების სიდიადის შესახებ საბერძნეთმა დაამსხვრია



↳6

ბერძნებმა ევრო 2012-ზე ყველაზე დიდი შოკი შემოგვთავაზეს

## აი, ვინაა უძლეველი: გერმანია



ლუკას პოდოლსკიმ ნაკრებში მე-100 მატჩში თავი გოლით გამოიჩინა

↳5

## დანია და ჰოლანდია პორტუგალიაში

↳4



როგორც იქნა, კრიშტიანო რონალდუც ათამაშდა

## ორი მეოთხედფინალური წყვილი ცნობილია...

ჩეხეთი VS პორტუგალია
21 ივნისი. ვარშავა

გერმანია VS საბერძნეთი
22 ივნისი. გდანსკი



↳10

ხორვატიის ნაკრები ესპანეთთან გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება

## ...ერთის დღეს გაირკვევა

ესპანეთი, ხორვატია, იტალია...
ერთი ზედმეტია

↳13



## დენვერული გაკვეთილი

ამერიკული ტურნე მძიმედ დავიწყეთ

## დღეს პროფლიგა აღდგება

↳2

## თორნიკე შენგელია NBA-ს დრაფტის 34-ე ნომრად, კლივლენდ კავალიერსში?

↳12



ქართული ფეხბურთი

● პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# დღეს პროფლიგა აღდგება

## ძველი ლიგის გენმდივნის რჩევა: სპონსორის მოზიდვა დღეს უფრო ადვილია



პაატა ბურჯალიანი

**14 ივნისს თბილისის "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე კლუბების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ – ისინი პროფესიული ფეხბურთის ლიგის ჩამოსაყალიბებელ პირობებს ათანხმებდნენ.**

**დღეს კი დამფუძნებელი ყრილობა გაიმართება: სამუშაო ჯგუფი ლიგას ოფიციალურად ალადგენს, შეიმუშავებს ორგანიზაციის ახალ დებულებას, გადაწყვეტს, ლიგა რა სტრუქტურით ჩამოყალიბდება, გუნდები რა პრინციპით განევრიანდებიან და ა.შ. ამის შემდეგ პროფლიგის პრეზიდენტსაც აირჩევენ.**

შეთანხმდნენ იმაზეც, რომ ლიგის გამგეობა უმაღლესი ლიგის 12-ივე კლუბის წარმომადგენლისგან დაკომპლექტდება.

შესაძლოა, უმაღლეს ლიგას მართლაც პრემიერლიგა დაერქვას, მაგრამ ეს დღეს აქტუალური საკითხი არაა. სიმართლე ითქვას, გაუგებარიც არის, სახელის გადაკეთების რა აუცილებლობაა? ერთ-ერთი კლუბის ხელმძღვანელმა სწორად შენიშნა, მთავარია, ჩემპიონატი და ეროვნული თასის გათამაშება კარგად ჩატარდეს და უმაღლესი ლიგის სახელს მხოლოდ ენობრივი კუთხით აქვს მნიშვნელობა – ერქვას ქართულად, გვაწყენს?

ლიგის პრეზიდენტობის ორი კანდიდატურა დასახელდა, საქართველოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **გია ფირცხალავა** და წარსულში თბილისის "დინამოს" ვარსკვლავი **ვლადიმერ გუცაევი**, კლუბებს კი საკუთარი რჩეული არ წამოუყენებიათ. რეალური კანდიდატები პროფლიგის აღდგენის მერე გამოჩნდებიან და მერე პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნება.

ნელინადნახევარია, საფეხბურთო პროცესებს ჩამოშორდნენ მისი ყოფილი პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** და გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი**, რომლებმაც არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელეს და მრავალი სპონსორი მიიზიდეს.

რას ფიქრობს ლიგის ყოფილი გენერალური მდივანი აღდგენილ პროფლიგაზე და როგორ წარმოუდგენია მისი გამართული საქმიანობა? ამ კითხვით პაატა ბურჯალიანს მივმართეთ:

- 2003 წელს დიმიტრი რამიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა ლიგის ჩამოყალიბება რომ დავიწყეთ, სახელმწიფოსგან ასეთი მხარდაჭერა არ გვქონდა. დღევანდელი გადასახედიდან უფრო ვხვდებით, რომ უმძიმესი რეალობა იყო და ყველაფერი რამიშვილის ზურგზე გადადიოდა. ამის მიუხედავად, მან თავისი კავშირებით, ნაცნობობითა და უნარით 7 წლის განმავლობაში უამრავი სპონსორის მოზიდვა მოახერხა და ლიგის იდეა გაამართლა. დღეს კი ლიგას ისეთი "კოზირები" უჭირავს, გაცილებით მეტი სპონსორისა და თანხის მოზიდვაა შესაძლებელი.

ჯერ იმიტომ, რომ ფეხბურთს მთავრობისგან შეუდარებლად მეტი მხარდაჭერა აქვს. მარტო ის რად ღირს, რომ ბიუჯეტიდან ჩემპიონატის, თასისა და სუპერთასის გამარჯვებულებისთვის მილიონლარიანი საპრიზო ფონდი შეიქმნა, მსაჯებს ხელფასები დაუნიშნეს. ჩვენ კი ამ თანხების მოსაზიდად უზარმაზარი შრომა გვჭირდებოდა.

**- თქვენი აზრით, რა სახის პროექტებია საჭირო, აღდგენილმა ლიგამ რომ გაამართლოს?**

- ჩვენ ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ, რომლის აღდგენაც შესაძლებელია. უპირველესად, სტადიონზე მაყურებლის დასაბრუნებლად ჩემპიონატის პოპულარიზაციაა საჭირო. გაიხსენეთ, მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები - გატუზო, კაკა, მალდინი, ინძაგი უმაღლეს ლიგას რეკლამას რომ უკეთებდნენ... პიარ-აქციები აუცილებელია თასისა და სუპერთასის მატჩებამდე. ჩვენს დროს, ფინალს 20-25 ათასზე ნაკლები მაყურებელი არ დასწრებია. ინტერნეტ-თამაში "ჩვენი ფეხბურთი" რომ დავაარსეთ, კი არ ვერთობოდით, ეს ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის იყო აუცილებელი და შედეგიც გამოიღო. საერთო ჯამში, მასში 100 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, ანუ ამდენი ადამიანი ეროვნული ჩემპიონატით დაინტერესდა. რესურსი ყოველთვის არის და ჩვენ ახალი სეგმენტების ათვისებაზე ვმუშაობდით.

**- ახლა ლაპარაკია მორიგ სატელევიზიო პროექტზე.**

- ეს უმნიშვნელოვანესი საქმეა. ხალხმა უნდა იცოდეს, მატჩები როდის იმართება. დღეს ეს ფუნქცია მხოლოდ ბეჭდვით მედიას აქვს, როდესაც ელექტრონული მედია უფრო ეფექტურია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ტურის მიმოხილვაზე უფრო მნიშვნელოვანი მისი ანონსები და მატჩისწინა პრესკონფერენციებია. სამწუხაროდ, ჩვენი შეზღუდული ფინანსები ამის განხორციელების საშუალებას არ გვაძლევდა

ფეხბურთის პოპულარიზაცია წარმოუდგენელია სეზონის შემაჯამებელი ლონისძიების გარეშე – "დეა" ჩემპიონატის გვირგვინი იყო. გამორჩეული მოთამაშე ცნობადი სახე უნდა იყოს და საზეიმოდ უნდა დააჯილდოვო. მე ისეთ დეტალებზე ვლაპარაკობ, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და სულაც არ არის წვრილმანი.

მნიშვნელოვანია ძლიერი მარკეტინგული და პიარსამსახურების ჩამოყალიბება. დღეს ბევრი მოედანი კეთდება, სახელმწიფო კლუბებს მასშტაბურად აფინანსებს და ბევრი ცნობილი მოთამაშე ჩამოვიდა - რუსეთის, უნგრეთის, უკრაინისა და სერბეთის ჩემპიონატებიდან. ამ ფაქტების სწორად გამოყენება შეიძლება. საამისოდ, კლუბებმა მოთამაშეთა სარეკლამო უფლებები უნდა დათმონ, ლიგამ ჩემპიონატი უფრო ეფექტურად რომ გააპიაროს.

თუმცა, საქმე მხოლოდ პიარით არ გაკეთდება. ეს ყველაფერი წყალში ჩაიყრება, საქმეს ფეხბურთში ღრმად ჩახედული ადამიანი თუ არ მიხედავს.

**- შემოსავლებს რაც შეეხება?**

- ჩემი აზრით, კლუბები წამოწყებას გვერდში უნდა დაუდგნენ, ნელინადი-ნელინადნახევარი შემოსავლები არ მოითხოვონ და ლიგას თავდაპირველად არ უნდა უყურონ, როგორც "მეწველ ძროხას". პროფლიგა წელში თუ ვერ გაიმართება, ფინანსურად კლუბებიც ვერ მოლონიერდებიან. და თუ ლიგა ფინანსურად მოლონიერდება, მერე კლუბები წინა წლების თანხებსაც ორმაგად ამოიღებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ზესტაფონი



# დაჯილდოება

## ნანატრი და დაგვიანებული

როგორც იქნა, "ზესტაფონმა" საქართველოს ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი და მედლები მიიღო. საქართველოს ჩემპიონატი თითქმის ერთი თვის წინ, 20 მაისს დასრულდა, მაგრამ ამის შემდეგ დაჯილდოებისთვის ხელისშემშლელი ბევრი ფაქტი მოხდა – ჯერ ალმასკომმა გადაწყვიტა ჩემპიონის ბედი, შემდეგ საქართველოს თასის ფინალი ჩატარდა, ამას კი სუპერთასის მატჩი მოჰყვა. ამ დროისთვის "ზესტაფონის" ფეხბურთელთა დიდი ნაწილი უკვე შვებულებაში იმყოფებოდა და დაჯილდოების თარიღმაც საკმაო ხნით გადაიწია.

"ზესტაფონი" ამასობაში ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა და კუთვნილი ჯილდოც სწორედ ამის შემდეგ მიიღო.

დაჯილდოების ცერემონიალი ზესტაფონის სტადიონზე შაბათს გაიმართა. "ზესტაფონის" ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და პერსონალს ოქროს მედლები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** და ვიცე-პრეზიდენტმა **ალექსანდრე ჩივაძემ** გადასცეს, გუნდის კაპიტანმა **ზურაბ მამალაძემ** კი საჩემპიონო თასი და უმაღლესი ლიგის სპონსორ "ევროპაბეთისგან" 100-ათასდოლარიანი ჩეკი ჩაიბარა.

დაჯილდოების ცერემონიალს "ზესტაფონის" გულშემატკივრები მრავლად დაესწრნენ. დაჯილდოების შემდეგ საქართველოს ჩემპიონის ფეხბურთელებმა ორმხრივი მატჩი ჩაატარეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



● სამზადისი

# ტორპედო ალბანეთის ჩემპიონს შეხვდა

ქუთაისის „ტორპედო"ავსტრიაშია და ზალცბურგთან მდებარე დაბა კაპრუნში სასტუმრო „ტონში" დაბინავდა. კლუბის პრეს-ატაშის, **რამაზ ჩხიკვაძის** ცნობით, კაპრუნში ავსტრიისთვის უჩვეულოდ ცხელა.

მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** პირველ დღეს გუნდი მხოლოდ საღამოს ავარჯიშა - ფიზიკური და ტექნიკური ხასიათის წვრთნაში „ტორპედოს" სრული შემადგენლობა მონაწილეობდა. მეორე დღიდან კი მომზადება სრული დატვირთვით, ორჯერადი ვარჯიშებით განახლდა.

დილით გუნდი ფიზმომზადების მწვრთნელის, **ივო კატუშიჩის** ხელმძღვანელობით ემზადება – ხორვატი სპეციალისტი ფეხბურთელებს საათნახევრის განმავლობაში საკმაოდ მძიმე რეჟიმით ტვირთავს. საღამოს კი წმინდა საფეხბურთო ვარჯიშებს გეგუჩაძე ატარებს.

გუშინ საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანმა პირველი საკონტროლო მატჩი ალბანეთის მოქმედ ჩემპიონ კორჩას "შკენდერბეუსთან" გამართა და 0:2 დამარცხდა.

გუნდის ვებგვერდის ცნობით, მატჩი "ტორპედოს" უპირატესობით დაიწყო. ანგარიშის გახსნა შეეძლოთ **ნიკა ფირცხალავას, გრიგოლ დოლიძესა** და **რევაზ გოცირიძეს**, მაგრამ ქუთათურებს სიზუსტე არ ჰყოფნიდათ.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე კი "შკენდერბეუს" უიშვიათესი შეტევა **ომარ მიგინეიშვილთან** პირისპირ დარჩენილმა **არტნანტ ტახირლარიმ** ზუსტი თავურით დააგვირგვინა - 0:1.

შესვენებაზე გია გეგუჩაძემ 11-ვე ფეხბურთელი შეცვალა. კარგად ჩაერთო თამაშში ახალწვეული **დათა სიჭინავა**. ორჯერ მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. **ვალერი ბოლქვაძის** გასროლას კი ალბანელთა კიპერი გადაელობა.

70-ე წუთზე "ტორპედოს" კარში მსაჯმა პენალტი დანიშნა, მაგრამ **დიტმარ ბიკაიმ** ძელს "დაუმიზნა". ალბანელებმა მეორე მაინც გაიტანეს: მე-80 წუთზე "შკენდერბეუს" ხორვატმა მცველმა **მარკო რადასმა** ჯარიმა ზუსტად შეასრულა - 0:2.

მორიგ საკონტროლო მატჩს რუმინეთის "სტიაუასთან" 21 ივნისის ნაცვლად, ქუთაისელები ერთი დღით ადრე ითამაშებენ.

**ტორპედო-შკენდერბეუ 0:2**

**0:1 ტახირლარი (45), 0:2 რადასი (80).**

"ტორპედო": **მიგინეიშვილი, რიგვავა, კვახაძე, ჭელიძე, გურული, ფირცხალავა, დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, დოლიძე, ტულუში, გოცირიძე.**

*შეცვლაზე: ქვილითაია, ტაბატაძე, ფარულავა, გამეზარდაშვილი, შერგელაშვილი, გიგაური, სიჭინავა, კუხიანიძე, ბოლქვაძე, გრიგალაშვილი, ფანცულაია.*

**მერაბ მამულაშვილი**

● მერანი

# სერიოზული ცვლილებები

ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მომავალ სეზონს მარტვილის "მერანი" აბსოლუტურად განსხვავებული შემადგენლობით შეხვდება. როგორც იცით, გუნდის წამყვანმა ფეხბურთელებმა: **ანზორ სუხიაშვილმა, ელგუჯა გრიგალაშვილმა** და **გიორგი მანწკავამ** "მერანი" ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვეს. თუმცა ცვლილებები ამით არ დასრულებულა: რამდენიმე დღის წინ მარჯვენა მცველმა **თორნიკე კაკუშაძემ** რუსთავის "მეტალურგთან" ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. კონტრაქტი დაუმთავრდათ ასევე **გიგა ბოხუასა** და **გიზო შენგელიასაც.**

ამის გარდა, გადაწყვეტილი ამბავია: გუნდს დატოვებს ცენტრალური მცველი **ვალერი იობაშვილი,** მისით ფოთის "კოლხეთი" და საჩხერის "ჩიხურაა" დაინტერესებული, დღედღეზე გაირკვევა გამოცდილი **გივი დიდავას** საკითხიც. რაც შეეხება ახალწვეულებს, ამ საკითხზე კომენტარი "მერანის" მთავარ მწვრთნელს **მალხაზ ჟვანიას** ვთხოვეთ:



თორნიკე კაკუშაძე

*"ძალიან ბევრ ფეხბურთელს კონტრაქტი დაუმთავრდა და შესაბამისად, უფრო ამბიციურ გუნდებში წასვლა არჩიეს. ჩვენ, ფაქტობრივად ახალი გუნდის შენებას ვიწყებთ, რაც რასაკვირველია, იოლი გასაკეთებელი ნამდვილად არ არის. მომავალი წლისათვის ახალგაზრდა ფეხბურთელებს დავეყრდნობით.მალე შემოგვიერთდებიან ახალწვეულები:* ***ცოტნე ბუკია*** *("კოლხეთი" ხობი),* ***ნოდარ ნოზაძე*** *("დილა"),* ***გიგა კვერენჩხილაძე*** *("გურია"),* ***საბა ლომია*** *("ზესტაფონი"),* ***გიორგი მჭედლიშვილი*** *("ლოკომოტივი"). სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, კიდევ დავიმატებთ ახალ ფეხბურთელებს. კლუბი უპირველესად ცენტრალური ნახევარმცველის ძიებაშია."*

"მერანი" 25 ივნისს მარტვილში შეიკრიბება, შემდეგ კი 10-დღიან შეკრებას ურეკში გაივლის. კვლავ ღიად რჩება სტადიონის რეკონსტრუქციისა და მოედნის საფარის საკითხი.

**ბესიკ გვაზავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი დევდარიანთან

# მზადება ოქტომბრისთვის

## გეგმები და განსხვავებები

**რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად გიორგი დევდარიანი დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ ეს სპეციალისტი ადრეც თავკაცობდა ამ ნაკრებს – გიორგი ჭანტურია, დავით სხირტლაძე, გიორგი პარუნაშვილი...მაშინ 1993 წელს დაბადებული ფეხბურთელები იყვნენ მის განკარგულებაში. დევდარიანი ბოლო დროს ჯერ "დინამო თბილისის" დუბლშემადგენლობის მწვრთნელი იყო, შემდეგ "დინამოს" პირველ გუნდს ჩაუდგა სათავეში, თუმცა "დინამოდან" წინა სეზონის დასრულებამდე წამოვიდა. დევდარიანს უკვე გამოცდილი მწვრთნელი ეთქმის, ახალგაზრდებთან მუშაობის გარდა ზრდასულ ფეხბურთელებთანაც მოუწია საქმის დაჭერა. მას თავისი, მკვეთრი ხელწერა აქვს და საინტერესოა, რა წარმატებები ექნება ამჯერად – ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის მე-13 ჯგუფის მატჩები თბილისში გაიმართება 30 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით, ჩვენი ჭაბუკების მეტოქეები შოტლანდია, უკრაინა და ლუქსემბურგი იქნებიან. დევდარიანს რამდენიმე კითხვა დავუსვით.**

**- ვასილ მაისურაძის განწრთნილმა 17-წლამდელთა ნაკრებმა საკმაოდ ბევრს მიაღწია და გულშემატკივარიც, ალბათ, ნაკლებ შედეგს არ ელის ამ ნაკრების მომდევნო თაობიდან. ახალი დანიშნული კი ხართ, თუმცა გუნდის ბირთვს უკვე იცნობთ და როგორ ფიქრობთ, არის იმის შანსი, რომ ფინალურ ეტაპზე მოხვდეთ?**

- რა თქმა უნდა, მიზანი ეს იქნება, თუმცა ამის მიღწევა ადვილი ნამდვილად არ არის. სათქმელად იოლია, გასაკეთებლად კი საკმაოდ ძნელი. როგორც უნდა იყოს, პირველი ეტაპი აუცილებლად უნდა გადავლახოთ, მატჩები თბილისში გაიმართება და ეს ფაქტორიც უნდა გამოვიყენოთ.

**- მეტწილად რომელი კლუბებიდან არიან წარმოდგენილი ფეხბურთელები ამ ასაკობრივ ნაკრებში?**

- "საბურთალო", 35-ე სკოლა, "ბაია", "ოლიმპი"... რა თქმა უნდა, სელექცია გაგრძელდება, გუნდში მეტწილად 1996 წელს დაბადებულები არიან, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ 1997 წელს დაბადებული რამდენიმე ფეხბურთელიც ავიყვანოთ.

**- როცა პირველად ჩაიბარეთ 17-წლამდელთა ნაკრები, არაერთი გამორჩეულად ნიჭიერი ფეხბურთელი გყავდათ, თუნდაც გიორგი ჭანტურია რად ღირს, რომელიც მერე არნემის "ვიტესში" აღმოჩნდა. თუ ხედავთ ასეთივე ნიჭიერ ფეხბურთელებს 1996-97 წლებში დაბადებულთა შორის?**

- ვერ ვიტყვი, რომ ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელები ამ ნაკრებში არ არიან. კონკრეტული გვარების დასახელებისგან ჯერ თავს შევიკავებ.

**- თქვენ ხელთ არსებულ კონტინგენტს ვასილ მაისურაძის 17-წლამდელთა ნაკრებთან როგორ შეადარებდით?**

- დარწმუნებული ვარ, 1996-97 წლებში დაბადებულებში არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდება, ხოლო რომელი თაობა უფრო ნიჭიერია, ამას დრო გვიჩვენებს.

**- 1996-97 წლებში დაბადებულთა ნაკრებს ახლახან ბაქოში გამართულ ტურნირზე ახლდით. რა ხარვეზები შენიშნეთ?**

- პირველი 30 წუთის შემდეგ ფეხბურთელებს დაღლა ეტყობოდათ. ეს პრობლემა მართლაც არსებობს, ფიზიკურ მომზადება მისახედია და რა თქმა უნდა, ამ მიმართულებითაც სერიოზულად უნდა ვიმუშავოთ.


გიორგი დევდარიანი

**- იმ კლუბების იმედზე ხართ, სადაც ეს ფეხბურთელები თამაშობენ?**

- არა მხოლოდ, ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მქონდა საუბარი და ვფიქრობ, ყველაფერი ნორმალურად იქნება – სამი შეკრება უნდა გავიაროთ და ორ ტურნირში უნდა ვითამაშოთ – ასეთი გეგმით მოვემზადებით ოქტომბრის მატჩებისთვის.

**- ნაკრებშიც გიმუშავიათ და კლუბებშიც. ორი სხვადასხვა სპეციფიკაა და ყველაზე უფრო რა განასხვავებს მათ?**

- სამწუხაროდ, ქართულ კლუბში მოთამაშე ნიჭიერი ფეხბურთელის დიდი ხნით დაკავება ძნელია, ყველა გამორჩეულს უკეთეს ჩემპიონატში სურს თამაში, რის გამოც ნიჭიერი ფეხბურთელების თავმოყრა და შენარჩუნება რთულია, ნაკრებში კი ეს შესაძლებელია.

**- ხელახლა გახდით 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი, თუმცა სასტარტო პოზიცია ალბათ განსხვავებულია...**

- მასეა, 1993 წელს დაბადებულთა გუნდში მუშაობა შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ორი წლით ადრე დავიწყე. შედეგიც სახეზეა – ბევრი მათგანი უკვე ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია, არადა ამ 21-წლამდელთა ნაკრებში წესითა და რიგით უფრო 1991-92 წლებში დაბადებულები უნდა თამაშობდნენ. ეს არის განსხვავება, თორემ 1996-97 წლებში დაბადებულებშიც ძალიან ბევრია საინტერესო მოთამაშე.

**- სამწვრთნელო შტაბი უკვე დაკომპლექტებულია?**

- დიახ, ჩემი თანაშემწეები ისევ გიორგი მიქაძე და ივანე ლუცენკო იქნებიან.

**- ერთი აქტუალური კითხვაც, რომელსაც ხშირად სვამენ და რომელზეც ხშირად კამათობენ – არის თუ არა მზად გიორგი ჭანტურია ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ?**

- თუ ჰოლანდიის ჩემპიონატზე დაბალი დონის ლიგიდან ხვდება ფეხბურთელი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, ალბათ დასაფიქრებელია, რატომ არ შეიძლება რომ "ვიტესის" თავდამსხმელსაც ჰქონდეს ამის შანსი. უბრალოდ, საკუთარი აზრი გამოვთქვი, თორემ რა თქმა უნდა, ყველაფერი ეროვნული ნაკრების მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**- ევროპის ჩემპიონატზეც გკითხავთ. ჯგუფური ეტაპი სრულდება და ალბათ უკვე კარგად ჩანს ტენდენციები და ვინ რისი მაქნისია...**

- ძალიან მომეწონა ესპანეთი და გერმანია, სასიამოვნოდ გამაკვირვა საფრანგეთმა. სერიოზული მატჩი იყო ესპანეთი–იტალია და ვფიქრობ, იტალიას შეუძლია, თამაშიდან თამაშამდე რომ მოუმატოს, ამ გუნდისგან სიურპრიზები არ უნდა გაგვიკვირდეს. რაც შეეხება ტენდენციებს, რა გამართული ტაქტიკითაც არ უნდა ითამაშოს გუნდმა, საბოლოოდ ყველაფერს მაინც შემსრულებლები წყვეტენ...

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# იაშვილი ბოხუმის ათიანია

მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო მეორებუნდესლიგურმა "ბოხუმმა", რომლის ღირსებასაც უკვე ორი ქართველი თავდამსხმელი იცავს. **ნიკოლოზ გელაშვილის** შემდეგ, რომელიც "ბოხუმს" წლის დასაწყისში შეუერთდა, კლუბმა კონტრაქტი გამოცდილ **ალექსანდრე იაშვილს** გაუფორმა.

საბედნიეროდ, ორივე მათგანი თავს ჯანმრთელად გრძნობს. ქართული დუეტი სრული დატვირთვით ვარჯიშობს და როგორც "ბოხუმის" ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, გუნდის გულშემატკივრებს მათი დიდი იმედი აქვთ.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ იაშვილი "ბოხუმის" ღირსებას 10-ნომრიანი მაისურით დაიცავს, გელაშვილი კი კვლავ 9 ნომერი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე იაშვილი (№10) და ნიკა გელაშვილი

ფუტსალი. არჩევნები

**ქართულ ფუტსალში ხანგრძლივი დაპირისპირების, გაურკვევლობისა და უთავობის პერიოდი დასრულდა: შაბათს „მიხეილ მესხის" სტადიონზე რიგგარეშე საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტად ლევან ცქიტიშვილი აირჩიეს.**

# ფუტსალმა ლევან ცქიტიშვილი აირჩია

პრეზიდენტობის კანდიდატი ორი იყო: საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი და ასოციაციის გამგეობის წევრი **ლევან გრიგოლია.**

ყრილობის დელეგატებმა ასოციაციის პრეზიდენტად საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ლევან ცქიტიშვილი ღია კენჭისყრით აირჩიეს.

36 წლის ცქიტიშვილი ფუტსალის ასოციაციას მომდევნო 4 წლით უხელმძღვანელებს, უახლოეს მომავალში ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობას დაასახელებს და პრიორიტეტულ მიმართულებებსაც დაასახელებს.

არჩევნებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით კასრაძე** და აპარატის უფროსი **ირაკლი სამყურაშვილი** ესწრებოდნენ.

**ლევან ცქიტიშვილი:** *"ჩვენს ბავშვობაში ეზოში ყველა თამაშობდა. ასე გაიზარდა ყველა დიდი ფეხბურთელი. ჩვენი მიზანი სწორედ ესაა, მასობრივი და პოპულარული გავხადოთ სახეობა.*

*რაც შეეხება ჩვენს მიზნებს: პირველი, გულშემატკივართან მუშაობაა. სახეობის უკეთ გასაცნობად, სატელევიზიო გადაცემა აუცილებელია და ხალხმა ჩემპიონატის მატჩებიც უნდა იხილოს. სატელევიზიო გაშუქება სახეობის პოპულარობას განაპირობებს.*

*ამას გარდა, ფუტსალში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა სპონსორების არარსებობაა. მე ვპირდები ხალხს, რომ სპონსორები აუცილებლად გამოჩნდებიან და სახეობის განვითარებაში დაგვეხმარებიან. ფუტსალის წამოწევა ბიზნესის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია.*

*კონკრეტულად, ყრილობას "იბერია ბიზნეს ჯგუფის", "აჭარაბეთისა" და "ბორჯომის" დამფუძნებლები ესწრებოდნენ - მე მათი თანადგომისა და პარტნიორობის იმედი მაქვს. თუ ჩანაფიქრი განხორციელდება, მჯერა, ეს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობად გადაიქცევა.*

*ნინასწარ ვილაპარაკე სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ ლადო ვარძელაშვილსა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ზვიად სიჭინავას და ორივე თანადგომას შეგვპირდა. საერთოდ, წინსვლა და განვითარება ერთიანი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია. ჩვენი ჩანაფიქრი სწორედ ესაა – თავად ფუტსალის სამყაროს, სახელმწიფოსა და ბიზნესის ერთობით, მიმაჩნია, რომ სახეობა განვითარდება. სხვაგვარად ეს შეუძლებელია".*

■ ■ ■

აქვე ვიტყვით, რომ უეფას ფუტსალის საკლუბო რეიტინგის მიხედვით, 4 ივლისს ნიონში ჩემპიონთა ლიგის წილისყრა გაიმართება. საქართველოს ჩემპიონი "იბერია სტარი" ევროპაში მე-8 ადგილზეა, პირველზე კი ავტომატურად დასახელდება პორტუგალიის ჩემპიონი. რადგან პირინეის ნახევარკუნძულზე ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, ჯერ უცნობია, ევროპულ საკლუბო ფეხბურთის ლიდერად ლისაბონის "ბენფიკა" გამოცხადდება თუ მისი თანაქალაქელი "სპორტინგი".

შემდეგ მოდიან "ბარსელონა", "მურსია" ან "კახა სეგოვია" (ჩემპიონატი ესპანეთშიც დასასრულებელია). მათ გარდა, გვისწრებენ ალმატის "კაირატი", ბაქოს "არაზი", იტალიური "მარკა", მოსკოვის "დინამო", ჩვენმა ჩემპიონმა კი უკვა ჩამოიტოვა ჩეხეთის "ერა-პაკი" და სერბული "ეკონომაცი".

წინა სეზონის შედეგების გათვალისწინებით, "იბერია" რეიტინგში მე-7 ადგილზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ესპანეთს ახალ სეზონში 2 გუნდი ეყოლება (ლიგის გამარჯვებული "ბარსელონა" და ქვეყნის ახალი ჩემპიონი) და საქართველოს ჩემპიონი მე-8 ადგილზე დარჩა.

კლუბის ხელმძღვანელობამ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი უეფას უკვე მიმართეს, რომ ოქტომბერში ჩემპიონთა ლიგის ელიტ-რაუნდის თბილისში ჩატარების უფლება დართონ. თუ უეფამ თბილისის კანდიდატურა დაამტკიცა, მაშინ სპორტის სასახლეში ზედა ოთხეულის რომელიმე გუნდი ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**


ლევან ცქიტიშვილი

B ჯგუფი. III ტური

# ევრო 2012

**მატჩი №19. 17.06. ხარკოვი. მეტალისტის სტადიონი**

| პორტუგალია | პოლანდია |
|---|---|
| 2 | 1 |

**პორტუგალია (4-3-2-1):** რუი პატრისიო – ჟოაო პერეირა, პეპე, ბრუნო ალვეში, ფაბიო კოენტრაო –მეირელეში (72. კუშტოდიო), ველოზო, მოუტინიო – ნანი (87. როლანდო), რონალდო –პოშტიგა (64. ოლივეირა).

**ჰოლანდია (4-2-3-1):** სტეკელენბურგი – ვან დერ ვილი, ვლაარი, მატეისენი, ვილემსი (67. აფელაი) – ნ. დე იონგი, ვან დერ ვაარტი – რობენი, ვან პერსი, სნეიდერი – ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 ვან დერ ვაარტი (11), 1:1 რონალდო (28), 2:1 რონალდო (74)

**გაფრთხილება:** ჟოაო პერეირა – ვილემსი, ვან პერსი

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 24(8)-14(3); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 37 445

# ჰოლანდია უქულოდ და უგულოდ!

## პირველად 1984 წლის შემდეგ: ნარინჯისფრები ჯგუფში ჩარჩნენ!



ვან პერსი ველოზოს ვერ გაექცა

**ბევრი ვაკრიტიკეთ, თუ ცოტა, კრიშტიანო რონალდო ათამაშდა! გუშინ, ჯგუფური ეტაპის მესამე და გადამწყვეტ მატჩში მადრიდის „რეალის“ სუპერვარსკვლავი შეუჩერებელი იყო და ჰოლანდიის ნაკრებს თამაში ფაქტობრივად მარტომ შემოუტრიალა. ჰოლანდიელებს ორბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებოდათ და რაფაელ ვან დერ ვაარტის (99-ე მატჩი ნაკრებში) გოლით დაწინაურდნენ კიდეც. კრიშტიანომ მალევე შეძლო წონასწორობის აღდგენა, მეორე ტაიმში კი კონტრშეტევაზე პორტუგალია წინ გაიყვანა და ჰოლანდიის ნაკრები საბოლოოდ განგმირა, ბერტ ვან მარვიიკის გუნდი არც მანამდე თამაშობდა ეფექტურად და 15 წუთში სამი გოლის გამტან გუნდს მით უმეტეს არ ჰგავდა.**

**ამრიგად, ჰოლანდიამ 1984 წლის შემდეგ პირველად ვერ გადალახა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი, პორტუგალია კი მეოთხედფინალში ითამაშებს, სადაც რონალდოს და კომპანიას ჩეხეთის ნაკრები ელით – გუნდი, რომელმაც A ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.**

### ტაქტიკა/სტრატეგია

პორტუგალიის ნაკრების თავკაც **პაულუ ბენტუს** არაფერი შეუცვლია და გუნდი ისევ 4-3-3 ტაქტიკური სქემით ათამაშა, რომელშიც ყველაზე წინ **ელდერ პოშტიგა** იდგა. მას ფლანგებიდან და ხანდახან უკნიდანად, რონალდო და **ნანი** ეხმარებოდნენ.

**ბერტ ვან მარვიიკმა**, როგორც მოსალოდნელი იყო, ცვლილებები შემოგვთავაზა – მან ძირითადი შემადგენლობა სამ პოზიციაზე შეცვალა: როგორც მოსალოდნელი გახლდათ, სასტარტოში ვიხილეთ **კლაას-იან ჰუნტელაარი** და **რაფაელ ვან დერ ვაარტი**, რომლებმაც **იბრაჰიმ აფელაი** და **მარკ ვან ბომელი** შეცვალეს. შედეგად, ჰოლანდიის ნაკრებს უაღრესად შემტევი შემადგენლობა გამოუვიდა. ვან მარვიიკმა საინტერესო ცვლილება დაცვაშიც შემოგვთავაზა: **ჰეიტინგას ვლაარი** ამჯობინა.

### საუკეთესო ფეხბურთელი

## კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია)

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუკრიტიკებიათ (და გაგვიკრიტიკებია) რონალდო იმის გამო, რომ დიდ სანაკრებო ტურნირებზე უხეიროდ თამაშობს, მაგრამ ჰოლანდიასთან მართლაც უმნიშვნელოვანეს მატჩში კრიშტიანო პასუხისმგებლობას არ გაექცა. თავისი საფირმო დრიბლინგები და ფინტები ხომ შემოგვთავაზა, გარდა ამისა, პორტუგალიელთა კონტრშეტევებში მთავარი როლის შემსრულებელი გახლდათ და რაც მთავარია, გოლებიც მან გაიტანა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რონალდო ჰოლანდიის ნაკრების მარჯვენა მცველ **ვან დერ ვილს** თავზარს სცემდა, მატჩის მიწურულს კი ჰეთ-თრიკის შესრულებასთანაც ძალიან ახლოს იყო, მაგრამ შორეული დარტყმით ბურთი **სტეკელენბურგის** კარის ძელს მოარტყა. ერთი სიტყვით, გუშინ რონალდოს დღე იყო.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

## რობინ ვან პერსი (ჰოლანდია)

...რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ჰოლანდიელთა თავდამსხმელზე! გაიხსენეთ, როგორი სტატუსით ჩავიდა ვან პერსი ევროპის ჩემპიონატზე: მან პრემიერლიგის გასულ სეზონში ხომ 30 გოლის (!) გატანა მოახერხა – კონტინენტის პირველობაზე კი აბსოლუტურად ვერაფერი გააწყო. მართალია, გუშინ მისთვის უჩვეულო, თითქმის გამთამაშებლის პოზიციაზე მოუხდა ასპარეზობა, რადგან ვან მარვიიკმა ჰუნტელაარიც ძირითადში ათამაშა, მაგრამ ეს ვან პერსის ალიბად არ გამოადგება. მას არც წინა მატჩებში უთამაშია ხეირიანად. მეორე ტაიმში დროის უმეტეს ნაწილს რობინიც პორტუგალიელთა საჯარიმოში ატარებდა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოახერხა. ფაქტია, საფეხბურთო ჰოლანდია ვან პერსისგან არა მარტო გუშინ, არამედ ზოგადად, გაცილებით მეტს ელოდა.



პორტუგალიამ კრიშტიანო რონალდოს დუბლით მოიგო

### მსაჯი

იტალიელმა **ნიკოლა რიცოლიმ** ნორმალურად, მეტიც, საკმაოდ კარგად და თითქმის უშეცდომოდ იმსაჯა. ერთი ეგაა, რომ მეორე ტაიმში ჰოლანდიელთა მარცხენა მცველი **ჯეტრო ვილემსი მოუტინიოსთან** სასტიკი უხეშობისთვის მოედნიდან გაძევებას იმსახურებდა, მაგრამ რიცოლიმ დაინდო და მხოლოდ გაფრთხილება აკმარა.

### მწვრთნელების დუელი

ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელმა არჩეულ გზას არ გადაუხვია და ჰოლანდიასთანაც ზუსტად იგივე შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე, რომლითაც მეორე ტურში დანია დაამარცხა. პირველ წუთებში მისი საყრდენი ნახევარმცველები **ველოზო**, მოუტინიო და **მეირელეში** „აჭრილები“ ჩანდნენ, რის გამოც, გაშვებული გოლის შემდეგ ბენტუ სწორედ მათი მისამართით ყვიროდა და ნახევარდაცვის ცენტრი სასწრაფოდ დაალაგა, რამაც პორტუგალიის ნაკრებს სტაბილურობა შემატა.

60 წლის ვან მარვიიკმა თავისი სიძე, მარკ ვან ბომელიც კი გაწირა იმისათვის, რომ მის გუნდს პორტუგალიასთან იდეალურად შეეტია და ფაქტობრივად დათმობაზე წავიდა, როცა ჯგუფური ეტაპისა და როგორც აღმოჩნდა, ჰოლანდიის ნაკრებისთვის მთლიანად ევრო 2012-ის უკანასკნელ მატჩში ვან დერ ვაარტიც ათამაშა, თავდასხმაში კი - ჰუნტელაარი-ვან პერსის დუეტი. კონცეფციამ თავიდან გაამართლა - ვან დერ ვაარტმა ანგარიში გახსნა.

გოლის შემდეგ ჰოლანდიელები უჩვეულოდ მოდუნდნენ, მეორე ტაიმში კი უაღრესად ქაოტური ფეხბურთი ითამაშეს. **სნეიდერსა** და კომპანიას შეტევებში მცირედი ორგანიზებაც კი არ ეტყობოდათ.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ: მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2016 წლამდე აკავშირებს, დიდი შანსია, რომ ვან მარვიიკი ახლავე გაათავისუფლონ. შესაძლოა, თავისი სურვილითაც გადადგეს...

### ანალიზი

ამ მატჩის მოგება (თანაც, ორბურთიანი სხვაობით) ჰოლანდიელებს სჭირდებოდათ და თავიდანვე მედგრად შეუტიეს. ვან დერ ვაარტი და კომპანია პირველ წუთებში პორტუგალიის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველებს სასტიკად წნეხავდნენ – იმ დროს, როცა სნეიდერი და **რობენი** ფლანგებიდან აქტიურობდნენ, ვან დერ ვაარტს ბურთები სიღრმიდან ამოჰქონდა. მისი სწრაფი გოლი პორტუგალიის ნაკრებისთვის იდეალური მალვიძარა გამოდგა, რადგან ბენტუს ბიჭები რონალდოს „თამადობით“, სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ.

მიუხედავად ბურთის ფლობის მხრივ ჰოლანდიის ნაკრების უპირატესობისა, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ პორტუგალიელები გაცილებით ეფექტურ ფეხბურთს თამაშობდნენ, მერე კი ორმხრივი იერიშები გაჩაღდა, რაც ნეიტრალურ ქომაგს არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა მოწყენის საშუალებას. ჰოლანდიის ნაკრების ცენტრალურ მცველებს, ვლაარსა და **მატეისენს** შეუთამაშებლობა აშკარად ეტყობოდათ.

პირველი ტაიმის შუაწელს, პორტუგალიელებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს და თამამად შეუტიეს – რონალდო და ნანი მხოლოდ წინ მოძრაობდნენ და უკან დახევა აღარ სჭირდებოდათ. თვით ბოლო ორ კვირაში არაერთგზის გაკრიტიკებული ელდერ პოშტიგაც კი ბევრს შრომობდა და ეფექტურად მოქმედებდა.

ამ დროს, ჰოლანდიის ნაკრების ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის დიდი სიცარიელე გაჩნდა – ვან პერსი და ჰუნტელაარი მზაკვრულ პასებს და ხეირიან ჩაწოდებებს ამაოდ ელოდნენ. შეტევაში ვერც ჰოლანდიელთა ფლანგის მცველები, ვან დერ ვილი და ვილემსი ერთვებოდნენ ისე, როგორც საჭირო იყო.

პორტუგალიის ნაკრები მეორე ტაიმშიც უფრო ეფექტურ გუნდად დარჩა. მეტიც: რონალდო და კომპანია უფრო კონცენტრირებულები ჩანდნენ, თუმცა ეს უფრო კონტრიერიშებზე ითქმის. ჰოლანდიელები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სასტიკად სცოდავდნენ და თუ არსებობს ვინმე ისეთი, ვისაც ჰოლანდიის ნაკრების პირველი ორი თამაში (0:1 დანიასთან, 1:2 გერმანიასთან) არ უნახავს, ეს შეხვედრა მაინც მიახვედრებდა (მიახლოვებით მაინც), თუ რატომ ვერ შეძლო ჰოლანდიამ ჯგუფიდან გასვლა.

ვილემსის ნაცვლად მოედანზე აფელაის შეყვანით ვან მარვიიკი უკვე ვა-ბანკზე წავიდა, რადგან „ნარინჯისფრების“ ტაქტიკური სქემა 3-2-3-2 გამოვიდა, პორტუგალიელებს კი კიდევ უფრო მძაფრი კონტრიერიშების შანსი მიეცათ. მოკლედ, ჰოლანდიას ვერც ერთბაშად ექვსმა მხოლოდ შეტევაზე ორიენტირებულმა ფეხბურთელმა (ჰუნტელაარი, ვან პერსი, რობენი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, აფელაი) უშველა. პირიქით: მთელ რიგ მომენტებში ისინი ერთმანეთს ხელსაც კი უშლიდნენ და რაც მთავარია, ამით ნანისა და რონალდოს კონტრშეტევების ბრწყინვალე შანსები მიეცათ, რომელთაგან ერთი გამოიყენეს კიდეც.

### დასკვნა

პორტუგალიელებმა თამაში მძიმედ დაიწყეს, მაგრამ მერე ნელ-ნელა აზრზე მოვიდნენ, რაც რონალდოს დამსახურებაცაა, რომელსაც თამაში წაუვიდა და მთელი გუნდიც აიყოლია. ჰოლანდიის ნაკრებს ძალიან კარგი შემსრულებლები კი ჰყავს, მაგრამ „ნარინჯისფრების“ შეტევებს ეს არ დასტყობია. შედეგი აბსოლუტურად ლოგიკურია.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 5-2 | 9 |
| 2. პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 3. დანია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 4. ჰოლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანულ მანქანას წუნი არ უჩანს

## დანიელები შინ თავაწეულნი ბრუნდებიან

მატჩი №20. 17.06. ლვოვი. არენა ლვოვი

| დანია | გერმანია |
|---|---|
| 1 | 2 |

**დანია (4-3-2-1):** ანდერსენი – იაკობსენი, კიაერი, აგერი, ს. პოულსენი – ი. პოულსენი (82. მიკელსენი), კვისტი, ზიმლინგი (79. კ. პოულსენი) – ერიქსენი, კრონ-დელი – ბენდტნერი.

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი – ლ. ბენდერი, ჰუმელსი, ბადშტუბერი, ლამი – ხედირა, შვაინშტაიგერი – მიულერი (84. კროოსი), იოზილი, პოდოლსკი (64. შიურლე) – გომესი (74. კლოზე).

**გოლები:** 0:1 პოდოლსკი (19), 1:1 კრონ-დელი (24), 1:2 ლ. ბენდერი (80)

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 8-6; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 7(3)-10(4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**არბიტრი:** კ. კარბალიო (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 32 990

**გერმანელებს ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად ფრეც ჰყოფნიდათ, დანიას კი ერთი ქულა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყვანდა მეოთხედფინალში, თუ ჰოლანდია პორტუგალიას დაამარცხებდა. სხვა შემთხვევაში სკანდინავებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს.**

### ტაქტიკა/სტრატეგია

არ გამართლდა მათი ვარაუდი, ვინც ფიქრობდა, რომ გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი დანიელებს დიდ ძალებს არ დაახარჯავდა და წამყვან ფეხბურთელთა ნაწილს დაასვენებდა. მსგავსი არაფერი მომხდარა, გერმანელებს მხოლოდ დისკვალიფიცირებული **ჯერომ ბოატენგი** აკლდათ, რომლის ადგილიც დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ლარს ბენდერმა** დაიკავა. დანარჩენი ათი ფეხბურთელი კი ევროპის ჩემპიონატზეც სასტარტო შემადგენლობაში იყო.

დანიელებმა ტრავმირებული ვეტერანი ნახევარმცველი **დენის რომედალი** მოისაკლისეს.

### საუკეთესო ფეხბურთელი

**ლარს ბენდერი (გერმანია)**

"ლევერკუზენის" 23 წლის მცველმა ბოატენგი საიმედოდ შეცვალა. ლარს ბენდერმა უშუალო მოვალეობებიც საიმედოდ შეასრულა და მატჩის მიწურულს შეტევაშიც შედეგიანად ჩაერთო. გერმანელებმა მისი გოლით გაიმარჯვეს. სხვათა შორის, ეს ბენდერისთვის პირველი სანაკრებო ბურთია. ლიოვის გუნდი ერთადერთია, რომელიც ევრო-2012-ის მეოთხედფინალში სამი გამარჯვებით გავიდა.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

**მარიო გომესი (გერმანია)**

ვერ ვიტყვით, რომ მატჩი ჩააგდო და უსარგებლო იყო, მაგრამ გუშინ მიზანმა აშკარად უმტყუნა და საგოლე მონაგარის გაზრდის რამდენიმე კარგი შანსი გაუშვა ხელიდან.

### მსაჯი

არ ყოფილა იმდენად მძიმე მატჩი, რომ კვალიფიციურ არბიტრს უხეში შეცდომები დაეშვა. ესპანელმა **კარლოს ველასკო კარბალიომ** დაკისრებულ მოვალეობას თავი პირნათლად გაართვა.

### მწვრთნელების დუელი

დანიის ნაკრებმა შესაძლებლობათა მაქსიმუმი გააკეთა, მაგრამ გერმანიის წინაალმდეგობის დასაძლევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. იმ შემართებამ, რამაც დანიელებს ჰოლანდიასთან გამარჯვება მოაპოვებინა, ამჯერად ველარ გაჭრა და **მორტენ ოლსენის** გუნდმა ვაჟკაცური თამაშით მხოლოდ ის შეძლო, რომ გერმანიასთან მინიმალური სხვაობით დამარცხდა. ვერ ვიტყვით, რომ **იოახიმ ლიოვმა** ვიზავი რაიმეთი დაჯაბნა – უბრალოდ, გერმანელთა თავკაცის განკარგულებაში გაცილებით მაღალი დონის გუნდია.

### ანალიზი

გერმანელებმა მატჩი აგრესიულად დაიწყეს და შეძლეს კიდეც თამაშის მოწინააალმდეგის ნახევარზე გადატანა. ლიოვის გუნდის ამოცანა უდავოდ სწრაფი გოლი იყო, რაც გერმანელებმა წარმატებით განახორციელეს. ბურთზე კონტროლი მათ არც დაწინაურების შემდეგ დაუკარგავთ, მაგრამ დანიელებმა კუთხურისგან მაქსიმალური ეფექტი გამოადნეს და **პეტერ კრონ-დელიმ** თავურით წონასწორობა აღადგინა.



ლარს ბენდერის გამარჯვების მომტანი გოლი დანიელთა კარში

ამის მერე პარალელურად მიმდინარე მატჩში პორტუგალია დაწინაურდა და დანიელებს მეოთხედფინალში გასასვლელად მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. დიდი სურვილისდა მიუხედავად, თავს ზემოთ ძალა არ იყო და ინიციატივას კვლავ გერმანელები ფლობდნენ, რაც ბენდერის ლოგიკური გოლით დასრულდა.

ვფიქრობთ, დანიის ნაკრებმა ყველაფერი გვიჩვენა, რაც შეეძლო, გერმანელები კი ეპიზოდებში ბოლომდე იხარჯებოდნენ, დროდადრო კი თვალშისაცემი იყო, რომ ლიოვის შეგირდები პლეი ოფის წინ ძალებს ზოგავდნენ.

გერმანელთა შესრულებით ახალი არაფერი ვიხილეთ, სამაგიეროდ, კიდევ უფრო განგვიმტკიცდა აზრი, რომ ამ გუნდმა ზედმიწევნით კარგად იცის ის, რასაც მოედანზე აკეთებს და მეოთხედფინალი აშკარად არ უნდა იყოს მისი შესაძლებლობის ზღვარი.

### დასკვნა

გერმანიამ გუშინაც დაგვიმტკიცა, რომ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ტყუილად არ მოიხსენიებენ. ბუნდესგუნდს არც იმით დაუშავდებოდა რამე, გუშინ ფრედ რომ ეთამაშა, მაგრამ გერმანელებმა სპორტულ პრინციპს არ უღალატეს და მეოთხედფინალში რიხით შეაბიჯეს. დანიის აქტივში კი მხოლოდ ჰოლანდიის სასტარტო შეხვედრაში ძლევაილა დარჩა. იქიდან გამომდინარე, რომ "სიკვდილის ჯგუფში" დანიელებს თითქმის ყველა განწირულად მიიჩნევდა, ოლსენის გუნდს მესამე ადგილი ნორმალურ შედეგად უნდა ჩავუთვალოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

ევრო 2012 II ტურის შეჯამება

# შეუჩერებელი სილვა და კიდევ სამი ესპანელი

## მეორე ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით

**პირველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი, სამი ფეხბურთელით გერმანიის ნაკრები იყო წარმოდგენილი, მეორე ტურისაში კი ესპანელები სჭარბობენ. ტურის საუკეთესო ფეხბურთელად კი დავიდ სილვას ვასახელებთ.**

1. **ანდრეი პიატოვი** (უკრაინა): უკრაინის ნაკრების მეკარემ საფრანგეთთან მატჩში თავისი გუნდი არაერთხელ გადაარჩინა და დაცვის ხაზსაც კარგად ხელმძღვანელობდა. **მენეზის** დარტყმა ბრწყინვალე რეაქციით მოიგერია და **მექსესის** თავურსაც შესანიშნავად გაუმკლავდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გაშვებულ გოლებში ბრალი არ მიუძღოდა. თუ პიატოვი ინგლისთანაც ასე კარგად ითამაშებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკრაინას მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი ექნება.

2. **თეოდორ გებრე სელასიე** (ჩეხეთი): ჩეხეთის ნაკრების მარჯვენა მცველმა საბერძნეთთან მატჩში თავისი უშუალო მოვალეობაც უნაკლოდ შეასრულა და შეტევებშიც სახიფათოდ ერთვებოდა. **კარაგუნისს** და **ჰოლებასს** მის ფლანგზე ხეირის ნახვა უჭირდათ. მომდევნო სეზონში გებრე სელასიე ბრემენის „ვერდერში" ითამაშებს – გასაგებია, რატომაც...

3. **ხორდი ალბა** (ესპანეთი): პირველ ტურში იტალიასთან ხორდი ალბა სუსტი იყო, ირლანდიასთან შეხვედრაში კი უდიდესი პროგრესი დაეტყო. „ფურია როხას" მარცხენა მცველს ირლანდიელებთან დაცვაში საქმე ფაქტობრივად არ ჰქონია, რის გამოც დროის უმეტესი ნაწილი შეტევებში გაატარა და აიკლო როგორც ო'ში, ისე **დაფიც**, რომელიც მეორე ტაიმში ო'შის ეხმარებოდა. ესპანელები მარცხენა ფრთიდან განსაკუთრებით პირველ ტაიმში უტევდნენ და ალბა მოწოდების სიმაღლეზე იდგა. კარგი პასები არიგა, კომბინაციების უმეტესობას კი **ინიესტასთან** და **ჩაბი ალონსოსთან** ათამაშებდა.

4. **ოგნიენ ვუკოევიჩი** (ხორვატია): ხორვატების საყრდენმა ნახევარმცველმა იტალიასთან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თუ გახსოვთ, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც კი დავასახელეთ. **ბილიჩმა** ვუკოევიჩს **მოდრიჩის** უკან დგომა, მისი დაზღვევა და „ტოტენჰემის" ვარსკვლავის უკან „ყველაფრის განმენდა" დაავალა და კიევის „დინამოს" საყრდენმა ნახევარმცველმა ეს მისია იდეალურად შეასრულა. ვუკოევიჩს უმეტესად ორ ან სამ იტალიელთან უნევდა გამკლავება. გარდა ამისა, დაამტკიცა, რომ მოედნის ხედვაც კარგი აქვს, დერეფნების გადაკეტვაც შეუძლია და ორთაბრძოლებშიც დაუნდობელია.

5. **ჰოლგერ ბადშტუბერი** (გერმანია): თუკი პირველი ტურის სიმბოლურში გერმანიის ნაკრების დაცვის ცენტრიდან **მატს ჰუმელსი** მოვახვედრეთ, ამჯერად ეს ჰოლგერ ბადშტუბერმა დაიმსახურა. ბაიერნელი ჰოლანდიასთან პირველივე წუთებიდან ფხიზლად იყო, პირველ ტაიმში მძაფრი სიტუაციები ორჯერ და თანაც, ორივეჯერ სუფთად განმუხტა და შესვენებამდე გოლის გატანაც შეეძლო, როცა **სტეკელენბურგის** კარს თავით დაემუქრა. ბადშტუბერმა მეორე ტაიმშიც უშეცდომოდ ითამაშა და როგორც მოედანზე, ისე ჰაერში, ორთაბრძოლების აბსოლუტური უმრავლესობა მოიგო.

6. **ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი): ინიესტა ბრწყინვალე ფორმაშია და სიმბოლურს მილმა ვერც მეორე ტურში დავტოვეთ: მოედნის ბრწყინვალე ხედვა, უდიდესი თავდაჯერება და არაერთი გრანდიოზული პასი – ანდრესი ისევ მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

7. **თეო უოლკოტი** (ინგლისი): თეომ შვედეთთან მატჩში მოედანზე მხოლოდ ნახევარი საათი გაატარა, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საუკეთესო ყოფილიყო. მართალია, გოლის მომენტში (ცოტათი გაუმართლა (ეს გოლი **ისაკსონის** სინდისზეა), მაგრამ მერე **უელბეკს** ძალიან კარგი პასით გაატანინა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, უოლკოტმა ინგლისის ნაკრების წინა ხაზს მართლაც სიცოცხლე შემატა.



ლელოს ტურის სიმბოლურში ყველაზე მეტი ესპანელი მოხვდა

8. **ბასტიან შვაინშტაიგერი** (გერმანია): შვაინშტაიგერი ფორმაში შედის! მართალია, ჰოლანდიასთან შეხვედრის პირველ 15 წუთში თავდაუჯერებელი ჩანდა და თითქოს **სამი ხედირას** კარგად ვერ უგებდა, მაგრამ მერე თავისი თამაში იპოვნა და ბუნდესგუნდის ნახევარდაცვის ცენტრის ბატონ-პატრონად მოგვევლინა. სიღრმიდან სამი შესანიშნავი პასიდან, ორი მისმა თანაგუნდელებმა გოლით დააგვირგვინეს. შვაინი ორთაბრძოლებშიც ბრწყინვალე იყო და ბურთიც არაერთხელ მოიპოვა.

9. **ფერნანდო ტორესი** (ესპანეთი): „ელ ნინიომ" დაამტკიცა, რომ გოლების გატანა არ დავიწყებია! გარდა იმისა, რომ ირლანდიასთან დუბლი შეასრულა, მთელი მატჩის განმავლობაში ბევრი იშრომა, ხშირად ფლანგებზეც გადადიოდა და თითქმის ყველა შეტევაში მონაწილეობდა.

10. **დავიდ სილვა** (ესპანეთი): ირლანდიელმა მცველებმა მისი შეჩერება ვერაფრით მოახერხეს! დავიდ სილვა საუკეთესო იყო ესპანელთა რიგებში და სამ გოლში უშუალო მონაწილეობა მიიღო.

11. **მარიო გომესი** (გერმანია): მარიომ ჰოლანდიასთანაც დაამტკიცა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშს **მიროსლავ კლოზეზე** მეტად იმსახურებს. პირველი გოლი ტექნიკურად სრულყოფილად შეასრულა, მეორე გოლისას კი ოდნავ გაუმართლა, რადგან სტეკელენბურგი ნაადრევად ჩაწვა. გომესმა მეორე ტაიმშიც ბევრი ირბინა, მაგრამ კარში მხოლოდ ერთხელლა დაარტყა.

**გოტფრიდ ლენცი**

A ჯგუფი. III ტური

# ევრო 2012

# ნავედით სახლში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩი №17. 16.06. ვარშავა. ნაციონალური სტადიონი

| საბერძნეთი | რუსეთი |
|---|---|
| 1 | 0 |

**საბერძნეთი (4-2-3-1):** სიფაკისი – ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, პაპასტატოპულოსი, ცაველასი - კაცურანისი, მანიატისი - კარაგუნისი (მაკოსი 66), სალპინგიდისი (ნინისი 82), სამარასი – გეკასი (ოლებასი 63).

**რუსეთი (4-3-3):** მალაფეევი – ანიუკოვი (იზმაილოვი 81), ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ჟირკოვი – შიროკოვი, დენისოვი, გლუშაკოვი (პოგრებნიაკი 71) – კერჟაკოვი (პავლიუჩენკო 46), ძაგოევი, არშავინი.

**გოლი:** 1:0 კარაგუნისი (45)

**გაფრთხილება:** კარაგუნისი, ოლებასი - ანიუკოვი, ჟირკოვი, ძაგოევი, პოგრებნიაკი

**კარში დარტყმა:** 5(3)-18(4); **კუთხური:** 5-12; **ჯარიმა:** 8-13; **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 55 614

**რუსეთის ნაკრებს მარტივი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი – კინკილა ქულა მას 1/4-ფინალის საგზურს და სავარაუდოდ გერმანიის ნაკრებთან დაპირისპირებას გაუნაღდებდა, მაგრამ დიკ ადვოკაატის გუნდი მზად არ აღმოჩნდა. სიმართლე გითხრათ, ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდით და მთლად სენსაციას თუ არ დავარქმევთ, მოულოდნელობა ნამდვილად იყო. ბერძნებმა მაქსიმუმი გაიღეს და დამსახურებულად მოიპოვეს პლეი ოფში თამაშის უფლება. ალალი იყოს თქვენზე და თქვენს შეგირდებზე, სეუ ფერნანდო!**



გიორგოს კარაგუნისმა ანგარიში ასე გახსნა

## რეაქციები

**ანდრეი არშავინმა** საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე მოკლე კომენტარი გააკეთა: *„ჯერჯერობით სათქმელი არაფერი მაქვს“.*

**რომან შიროკოვი:** *„მწვრთნელმა მადლობა გადაგვიხადა და დაგვემშვიდობა. ძალიან გაღიზიანებულები ვიყავით და გულშემატკივარს მადლობაც კი არ გადავუხადეთ მხარდაჭერისთვის. პლეი ოფის მატჩებამდე უნდა მივველნია და თუნდაც ერთი მატჩი გვეთამაშა. კარგი, თუნდაც გამოვვარნილიყავით, მაგრამ B ჯგუფის დონის მეტოქეები მაინც გვყოლოდა...“*

**გიორგოს სამარასი:** *„ეს ყველასთვის განუზომელი ბედნიერებაა, ყველასთვის ვინც გუნდშია, იქნებიან ეს ფეხბურთელები, მწვრთნელები თუ ექიმები. მთავარია, რომ საბერძნეთის მოსახლეობას ბედნიერი დღე ვაჩუქეთ. ამ გამარჯვების წყალობით მათ ალბათ რამდენიმე საათით მაინც დაივიწყეს თავიანთი პრობლემები და გაიღიმეს. სწორედ ამით ვამაყობთ ყველაზე მეტად“.*

## ტაქტიკა/სტრატეგია

ვერ გეტყვით, რომ რომელიმე მწვრთნელმა რამე განსაკუთრებული შემოგვთავაზა, თუმცა **ფერნანდუ სანტუშის** ბიჭების თავდადება მაინც გასაოცარი იყო. ბერძენი მცველები ისეთივე თავდავიწყებით ებრძოდნენ მეტოქეს, როგორც მათი წინაპრები კონსტანტინოპოლის ასალებად გამზადებულ მუჰამედ II-ის ლაშქარს. კარგია, რომ ამჯერად რუსებს შეტევებისთვის მხოლოდ 90 წუთი ჰქონდათ. მართალია, სანტუშმა იდეალურად გაშიფრა რუსების ტაქტიკა, მაგრამ ისინი ცოტა მეტად კონცენტრირებულნი რომ ყოფილიყვნენ, მაინც შეძლებდნენ **სიფაკისის** ზურგს უკან ბადის შერხევას. თუმცა **არშავინის** გარდა არც ერთ რუს თავდამსხმელს გუშინ მონდომება არ ეტყობოდა. ამას გარდა, ბერძენთა დამრიგებელმა შეცვლებიც გამოიცნო, რასაც ადვოკაატზე ნამდვილად ვიტყვით.

## საუკეთესო ფეხბურთელი

### გიორგოს კარაგუნისი (საბერძნეთი)

**გიორგოს კარაგუნისმა** საბერძნეთის ნაკრებში შაბათს თავისი 120-ე მატჩი გამართა და კარიერის განმავლობაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. გოლამდეც და მას შემდეგაც 35 წლის ვეტერანი გუნდის ლამის ყველა შეტევის სულის ჩამდგმელი გახლდათ. რომ არა შვედი **იონას ერიკსონის** შეცდომა, კარაგუნისი საბერძნეთს პენალტსაც მოუპოვებდა. სამწუხაროა, რომ გიორგოსს დისკვალიფიკაციის გამო ახლა პლეი ოფის მატჩის გამოტოვება მოუწევს.

## ფეხბურთელი იმედგაცრუება

### ალან ძაგოევი (რუსეთი)

90 წუთის განმავლობაში **ალან ძაგოევთან** დაკავშირებული მხოლოდ ორი მომენტი გვახსენდება: პირველი მეტოქის კართან (მატჩის მიწურულს) და მეორე, როცა მან უადგილო ადგილას იუხეშა და ყვითელი ბარათი დაიმსახურა. არადა, მისგან, როგორც არავისგან, ისე ელოდნენ თამაშის თავის თავზე აღებას, მაგრამ 22 წლის ბიჭისთვის ეს ტვირთი მეტისმეტი აღმოჩნდა.

## მსაჯი

38 წლის შვედმა არბიტრმა იონას ერიკსონმა მატჩი ზოგადად კარგად განსაჯა, თუმცა ზემოთაც მოგახსენეთ, რომ მან ერთი ეპიზოდი რუსების სასარგებლოდ განსაჯა, როცა კარაგუნისის წაქცევის გამო პენალტი არ დანიშნა და ვეტერანს სიმულაციისთვის ყვითელი უჩვენა. დანარჩენ ეპიზოდებში სერიოზული შეკითხვები მასთან ნამდვილად არ გაგვჩენია.

## მწვრთნელების დუელი

**დიკ ადვოკაატმა** ჩვეულებრივ ტაქტიკას მიმართა და გუნდი სამი გამოკვეთილი თავდამსხმელით გამოიყვანა მინდორზე, თუმცა სამიდან მხოლოდ ერთმა არშავინმა გაუმართლა. ნახევარდაცვა ჩვეულებრივად ძალიან ბევრს მუშაობდა, აი დაცვას კი სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ფიზიკურად ბევრად პატარა ბერძენი შემტევები მთასავით მეტოქეებს ხშირად აგდებდნენ გამოუვალ სიტუაციაში. სამარასთან ბრძოლაში განსაკუთრებით დაიჩაგრა ჟირკოვი.

ანდრე სანტუშის გუნდიც ჩვეული განლაგებით გამოცხადდა მინდორზე. პორტუგალიელ თავკაცს მეტოქეებისთვის არანაირი მოულოდნელი გადაწყვეტილება არ შეუთავაზებია. მან მხოლოდ შემადგენლობა დაალაგა: **კაცურანისი** ნახევარდაცვაში დააბრუნა, უკანა ხაზი კი **პაპასტატოპულოსს** ჩააბარა.



## ანალიზი

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი ბერძნებმა შექმნეს. კარაგუნისის ჩაწოდებას კაცურანისი გამოეხმაურა, თუმცა ფანტასტიკურად ითამაშა **ვიაჩესლავ მალაფეევმა**, ვინც ბურთს თითების წვერებილა წაატანა. რუსების პასუხმა არ დააყოვნა - არშავინი ვარდნაში ცდილობდა დარტყმას, თუმცა ძლივს მისწვდა და სახიფათო დარტყმა აღარ გამოუვიდა. მერე **კერჟაკოვმა** დაარტყა მაღალ "ცხრიანში", მაგრამ კარებს სანტიმეტრებით ააცილა. მე-15 წუთზე მალაფეევი შეცდა, როცა დაუფიქრებლად გამოვიდა წინ, თუმცა **გეკასის** თავური აკრობატულ ნახტომში მაინც მოიგერია. ტაიმის ბოლოს **გლუშაკოვის** დარტყმას პაპასტატოპულოსი გადაუდგა წინ, მერე კი ჟირკოვის შორეული დარტყმა ასცდა მცირედით. ის იყო, მსაჯს ტაიმი უნდა დაესრულებინა, რომ კარაგუნისმა აუტიდან მოწოდებული ბურთის შემდეგ ჟირკოვი ადვილად ჩამოიშორა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და შორეულ, დაბალ კუთხეში დაურტყა – 1:0.

მეორე ტაიმში გათანაბრება პირველად ანიუკოვს შეეძლო, მაგრამ სიზუსტე არ ეყო. კარის ჩარჩოში ვერ ვერც **დენისოვმა** დაუმიზნა, არადა, სიფაკისი ამ დარტყმისთვის აშკარად მოუმზადებელი იყო. მე-60 წუთზე ანიუკოვმა **გეკასს** წამით დაასწრო ბურთისთვის ბრძოლაში და ხიფათი განმუხტა. იმავე გეკასს ზუსტად ერთ წუთში შეეძლო გატანა, მაგრამ თავური კარს ააცილა. 10 წუთში უკვე **ცაველასს** არ გაუმართლა, როცა ჯარიმა ზუსტად ძელისა და ხარისხის შეერთებას დაუმიზნა. მალე **სალპინგიდისმა** გააფუჭა კიდევ ერთი მომენტი. სულ ბოლოს რუსებმა გამოიღეს ხელი, როცა არშავინის პასით **ძაგოევი** ურტყამდა, მაგრამ არაზუსტად. აი, ასე დასრულდა მორიგი რუსული ზღაპარი.

## დასკვნა

საბერძნეთმა პლეი ოფში გაალწია და ახლა მას B ჯგუფის გამარჯვებულ გერმანიასთან მოუწევს დაპირისპირება. სანტუშსა და კომპანიას გაუჭირდება ფავორიტთან გამკლავება. სხვა თუ არაფერი, გუნდს კაპიტანი და ლიდერი კარაგუნისი არ ეყოლება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-5 | 6 |
| 2. საბერძნეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. რუსეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 4. პოლონეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |

ლევან ბიბილაშვილი

A ჯგუფი. III ტური

# ევრო 2012

# მოულოდნელი ჩეხური ეპილოგი

## ჩარჩენილები და შერცხვენილები

**მატჩი №18. 16.06. ვროცლავი. მუნიციპალური სტადიონი**

| ჩეხეთი | პოლონეთი |
|---|---|
| 1 | 0 |

**ჩეხეთი (4-2-3-1):** ჩეხი - გებრე სელასი, სივოკი, კადლეცი, ლიმბერსკი – პლაშილი, ჰუბშმანი – იერაჩეკი (რაიტორალი 84), კოლარი, პილარი (რეზეკი 88) – ბაროში (პეკჰარტი 90).

**პოლონეთი (4-2-3-1):** ტიტონი - პიშჩეკი, ვასილიევსკი, პერკისი, ბიონიში – დუდკა, პოლანსკი (გროსიცკი 56) – ბლაშჩიკოვსკი, მურავსკი (ბროჟეკი 73), ობრანიაკი (მეჟევსკი 73) - ლევანდოვსკი

**გოლი:** 1:0 იერაჩეკი (72)

**გაფრთხილება:** ლიმბერსკი, პლაშილი, პეკჰარტი – მურავსკი, პოლანსკი, ვასილევსკი, ბლაშჩიკოვსკი, პეკისი

**კარში დარტყმა:** 9(6)-12(5); **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 21-21; **თამაშგარე:** 3-0; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 41 480

**მესამე ტურის წინ ორივე გუნდი თავად გახლდათ საკუთარი ბედის შემოქმედი და მჭედელი, რადგან მოგებას ორივე პლეი ოფში გაჰყავდა. საბოლოოდ თავისი შანსი ჩეხეთმა გამოიყენა და ტურნირზე საშინელი სტარტის შემდეგ 6 ქულით პირველ ადგილზე გავიდა. მიხალ ბილეკის გუნდმა აშკარად სრულფასოვანი რეაბილიტაცია მოახდინა გულშემატკივართა თვალში. პოლონეთმა კი... კარგად დაიწყო და ძალიან ცუდად დაამთავრა. ასეთ უფხო მასპინძელს ნამდვილად არ ველოდით.**

### რეაქციები

**ფრანტიშეკ სმუდა** (პოლონეთი): *„ფედერაციასთან შეთანხმებული ვიყავი, რომ თუკი ჯგუფიდან ვერ გავიდოდით, კონტრაქტი აღარ გახანგრძლივდებოდა. ახლა იძულებულები ვართ, ამას შევეგუოთ. ვფიქრობ, ჩვენ მეტისმეტად თავდაჯერებულები ვიყავით, მეტოქე კი თავის შანსებს უფრო ყურადღებით ეპყრობოდა. მათ შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშეს და გაგვიტანეს კიდეც. იმასღა ვიტყვი, რომ გუნდი, რომელზე დაყრდნობა სამომავლოდ შეიძლება, უკვე ჩამოყალიბებულია“.*

**მიხალ ბილეკი** (ჩეხეთი): *„კმაყოფილები ვართ, რატომაც არა, ჩვენ ხომ მასპინძლები დავამარცხეთ. პირველ 25 წუთში ვერაფრით მოვახერხეთ გონებაზე მოსვლა, მაგრამ მერე ავთამაშდით და 1/4-ფინალშიც დამსახურებულად გავედით. როსიცკის მოედანზე გამოსვლა ძალიან უნდოდა, თუმცა ტრავმამ შეუშალა ხელი. ახლა ძნელია იმის თქმა, შევძლებთ თუ არა მის გამოყენებას მომდევნო შეხვედრაში“.*

### ტაქტიკა/სტრატეგია

ბილეკი იძულებული გახდა ერთი ცვლილება შეეტანა საბერძნეთთან მოგებული მატჩის შემდეგ. "ერთი ცვლილება" მკითხველს შეიძლება ყურზე იოლად ხვდება, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ლაპარაკია **ტომაშ როსიცკიზე**. კაპიტნის ნაცვლად მოთამაშე **დანიელ კოლარს** მძიმე ტვირთი დააწვა ბეჭებზე.

**ფრანტიშეკ სმუდას** კი რუსებთან აღებული ქულის შემდეგ გუნდში არაფერი შეუცვლია. მან ტრადიციული 4-2-3-1 განლაგება აირჩია.

### საუკეთესო ფეხბურთელი

#### პეტრ იერაჩეკი (ჩეხეთი)

26 წლის შემტევი ნახევარმცველი **პეტრ იერაჩეკი** გუნდისთვის უმნიშვნელოვანეს მომენტში გაისარჯა დიდებულად. მან პასი **ტომაშ ჰიუბშმანისგან** მიიღო, ორი მეტოქე იოლად მოატყუა და მეკარეს დაბალი ბურთი გაუტანა. *"უბრალოდ დაუჯერებელი განცდაა. მიხარია, რომ როგორც ნამდვილმა გუნდმა ისევ მოვიგეთ. გოლისას სივრცე გამიჩნდა და ვიცოდი, რომ თუკი კუთხეში დავარტყამდი, მეკარე ველარაფერს მოახერხებდა,"* – განაცხადა ფეხბურთელმა.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

#### მარცინ ვასილიევსკი (პოლონეთი)

როცა გუნდის წამყვანი ცენტრალური მცველი შეხვედრის ერთ კონკრეტულ მომენტში ისეთ შეცდომას უშვებს, როგორსაც **მარცინ ვასილიევსკი**, ცხადია, ის უპირველესი კანდიდატურა ხდება მატჩის უსუსტეს ფეხბურთელად მივიჩნიოთ.

### მსაჯი

39 წლის შოტლანდიელი არბიტრი **კრეიგ ტომსონი** დაძაბულ მატჩს ღირსეულად გაუძლვა. მას არც ერთი თვალში საცემი მომენტი არ გამოპარვია და არც ისეთი შეცდომა დაუშვია, რაც მატჩის შედეგზე გავლენას მოახდენდა. ერთეული მომენტების გარდა მასთან პრეტენზია არც მწვრთნელებს ჰქონიათ. ისე ერთი-ორჯერ სმუდამ კი სცადა არბიტრისთვის ხმის მიწვდენა, მაგრამ უშედეგოდ.

### მწვრთნელების დუელი

მიხალ ბილეკმა გამოცდილ მეტოქეს ტაქტიკურ დუელში აჯობა. ჩეხების თავკაცმა მშვენივრად იცოდა, რომ სმუდას ერთ-ერთი მთავარი იარაღი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** იქნებოდა, ამიტომ მან ფეხბურთელებს კუბას წინააღმდეგ განსაკუთრებული ყურადღება მოსთხოვა და მეტოქეს ამ კოზირის გათამაშების საშუალება არ მისცა. ამას გარდა, ბილეკმა როსიცკის შეცვლაც სრულფასოვნად მოახერხა, რაც მის განსწავლულობაზე მეტყველებს. სმუდამ კი უკვე ათასგზის "დალეჭილი" სქემის გარდა ახალი ვერაფერი მოიფიქრა და დამარცხდა.

### ანალიზი

მატჩი ძალიან საინტერესოდ დაიწყო. მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. **გებრე სელასის** პასით პირველად რეალური მომენტი **პილარს** შეექმნა, თუმცა "ვოლფსბურგის" ნახევარმცველს საბოლოო დარტყმა არ გამოუვიდა. შემდეგ **ობრანიაკს** შეეძლო თავის გამოჩენა, ვინც ბურთი ბადეს გარედან მოარტყა. კარში რომ წასულიყო, ჩეხი ამ მომენტში აშკარად უძლური იქნებოდა. მომდევნო სიტუაცია ისევ პოლონელებმა შექმნეს. ობრანიაკის პასის შემდეგ ბლაშჩიკოვსკის შეეძლო გატანა, მაგრამ დუელში მეკარე გამოვიდა გამარჯვებული. მალე ისევ ობრანიაკის კარგი პასით პრაქტიკულად მეკარესთან პირისპირ დარჩა **ლევანდოვსკი**, მაგრამ ბურთი ფეხზე აეჭრა. მე-12 წუთზე ჰიპერაქტიურმა ობრანიაკმა საჯარიმოდან ბურთი **დუდკას** "დაასვა" თავზე. ჩეხმა მოიგერია. საბოლოოდ ბურთი **ბიონიშს** მიუვიდა, ვისი შორეული დარტყმაც შტანგას ძალიან ცოტათი ასცდა. ეს პირველ ტაიმში ბოლო რეალური მომენტი იყო.

60-იანი წუთებიდან უპირატესობას უკვე ჩეხები დაეუფლნენ. **სივოკის** თავურის შემდეგ ბრწყინვალედ ითამაშა **ტიტონმა**. 72-ე წუთზე კი მატჩის ერთადერთი გოლი გავიდა. **მურავსკიმ** მეტოქის ნახევარზე არაზუსტი პასი გააკეთა. ჰიუბშმანმა საკმაოდ მანძილი ირბინა და მარცხნივ **იერაჩეკს** დაუგორა, ვინც **ვასილიევსკის** იოლად გაუსწორდა, მცველების დასახმარებლად ჩამოსულმა მურავსკიმ კი თანაგუნდელის დაზღვევა ველარ მოასწრო. ტიტონს ახლო მანძილიდან დარტყმულის აღების მხოლოდ თეორიული შანსი ჰქონდა.

მატჩის უკანასკნელი სახიფათო მომენტები პოლონელებმა შექმნეს. პირველად **პიშჩეკი-ლევანდოვსკის** კომბინაციას ვასილევსკი თავურით აგვირგვინებდა, შემდეგ ბლაშჩიკოვსკის შეეძლო გატანა, თუმცა მცველმა ითამაშა კარგად.

### დასკვნა

ამრიგად არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ჩეხებმა მეოთხედფინალში დამსახურებულად შეაბიჯეს. არანაკლებ "დამსახურებული" გახლდათ პოლონელების მეოთხე ადგილი, რადგან გუნდმა პირველ წუთებზე მოწყობილი შტურმის გარდა გულშემატკივარს ვერაფერი უჩვენა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

### უეფა ინგლისის წინააღმდეგ

უეფამ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წინააღმდეგ დისციპლინარული საქმე აღძრა. საქმე ის არის, რომ „სამი ლომის“ ფანებმა შვედეთთან შეხვედრაში მესამე გოლისას მინდორზე გადაჭრა მოინდომეს, რათა ფეხბურთელებთან ერთად ეზეიმათ. ინციდენტის განხილვა 20 ივნისს არის დანიშნული.

აქვე გეტყვით, რომ ინგლისის ნაკრებმა სამომავლოდ ორი ამხანაგური მატჩი დაგეგმა. ჰოჯსონის გუნდი 2012 წლის 15 აგვისტოს, ბერნში იტალიას შეხვდება, 2013 წლის 14 აგვიტოს კი ასოციაციის 150 წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმზე შოტლანდიას დაუპირისპირდება.

### ლიატოს ბონეკი შეცვლის

პოლონეთის ნაკრების ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩენის გამო გუნდის თავკაცი **ფრანტიშეკ სმუდა** თანამდებობიდან გადადგა. ინფორმაცია მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თავად დაადასტურა. ამას გარდა, შეირყა ფედერაციის პრეზიდენტის, ლეგენდარული **გჟეგოშ ლიატოს** სავარძელიც. გუშინდელი პოლონური პრესის ცნობით, მოსალოდნელია, რომ ამ თანამდებობაზე მას წარსულის კიდევ ერთი დიდი ვარსკვლავი, 56 წლის **ზბიგნევ ბონეკი** შეცვლის.

### ოლსონმა ნაკრები დატოვა

შვედეთის ნაკრების მცველმა **იონას ოლსონმა** ნაკრები დატოვა და სამშობლოში გაემგზავრა. მიზეზი საპატიოა. ფეხბურთელი და მისი მეუღლე დღე-დღეზე პირველ შვილს ელოდებიან. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, დაბრუნდება თუ არა ის საფრანგეთთან შეხვედრამდე. სკანდინაველები უმოტივაციოდ არიან დარჩენილნი, რაკი ჯგუფიდან გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგეს.

### კარაგუნისის თხოვნა

**გეორგოს კარაგუნისმა** უეფას დისციპლინარულ კომიტეტს თხოვნით მიმართა, რომ რუსეთთან შეხვედრაში უსამართლოდ ნაჩვენები ყვითელი ბარათი გაუუქმოს. ჩეხური Sport.cz–ის მტკიცებით, ბერძენ ვეტერანს აქვს ამის შანსი, რადგან გამეორებაზე ცხადად გამოჩნდა, რომ სიმულაციას ადგილი არ ჰქონია. ხოლო ის, რომ ანალოგიურ მომენტში **ერიკსონმა ჟირკოვი** არ გააფრთხილა, გამოცემა სამარცხვინო საქციელს უწოდებს.

### დაკავებების ახალი ტალღა

70-ზე მეტი რუსი გულშემატკივარი დააკავა პოლონურმა პოლიციამ რუსეთი-საბერძნეთის მატჩის დაწყებამდე, თუმცა ყველა მათგანი მეორე დღესვე გაათავისუფლა. სამართალდამცავებმა რამდენიმე მათგანი დააჯარიმეს, რადგან ეს ადამიანები პოლიციელებს დაკავების შემდეგ დოკუმენტების შევსებისას ან საკუთარ ვინაობას არ უმხელდნენ, ან კიდევ მოგონილ სახელებითა და გვარებით ფორმდებოდნენ. ამას გარდა, პოლონეთი-ბელარუსის საზღვარზე პოლონელმა მესაზღვრეებმა ორი რუსი გულშემატკივარი დააკავეს, რომელთაც 8 ივნისს ვროცლავში ადგილობრივი სტიუარდების ფიზიკურ შეურაცხყოფაში ედებათ ბრალი. დაკავებისას მათ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

### კაბაი მსუბუქად ვარჯიშობს

საფრანგეთის ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა **იოან კაბაიმ** უკრაინასთან შეხვედრაში ბარძაყის კუნთი დაიზიანა და რამდენიმე დღეა სრული დატვირთვით არ უვარჯიშია. **ლორან ბლანის** თქმით, საშიში არაფერია და ფეხბურთელი შეძლებს შვედეთთან თამაშს, ინდივიდუალურად კი ის იმიტომ ვარჯიშობს, რომ ამით უბრალოდ თავს იზღვევს. კიდევ ერთი კარგი ინფორმაცია „სამფეროვანთა“ ფანებისთვის: თანდათან უმჯობესდება **იან მ'ვილას** მდგომარეობა და შვედეთთან თუ არა, პლეი ოფის მატჩებისთვის, თუ საფრანგეთმა იქ გააღწია, ის ნამდვილად მზად იქნება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

# ევრო 2012

ევრო 2012 II ტურის სტატისტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავიდი გოლიათებში

კასტროლ ინდექსი ფეხბურთელთა მარგი ქმედების კოეფიციენტია, სწორედ ამ მაჩვენებლით ევრო 2012-ის II ტურში საუკეთესო დანიელი **ნიკლას ბენდტნერი** იყო, რომელმაც ორი გოლი გაუტანა პორტუგალიის ნაკრებს, თუმცა მისმა დანიამ მაინც წააგო - 2:3. უეფას კასტროლ ინდექსი დანიელთა ტანმაღალი ფორვარდისთვის თითქმის იდეალური იყო - 9,64. ბენდტნერი განსაკუთრებულად ერჩის პორტუგალიას - 20 სანაკრებო გოლიდან 7 მათ კარში გაიტანა. ორი ტურის ჯამში კი ალან ძაგოევია ევროს საუკეთესო ფეხბურთელი - 9,66. მას კვალში **ანდრი შევჩენკო** (9,58) და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (9,51) მიჰყვებიან.

აგრძელებს სპეციალისტთა განცვიფრებას **ალექსანდრ კერჟაკოვი**, მან 10-ჯერ ააცილა პირველ ორ ტურში მეტოქეთა კარს. ეს კი რამდენიმე ქვეყანაზე „უკეთესი" მაჩვენებელია. სულ რუსეთმა 14-ჯერ ააცილა და რით ვერ მიხვდნენ, რომ ან პასი აღარ მიეცათ მისთვის ან გამოეცვალათ, გაუგებარია.

3-3 გოლით სამეული ლიდერობდა, მაგრამ **მარიო გომესმა** ყველაზე ნაკლები დრო დახარჯა - 152 წუთი. გოლი პლუს პასი სისტემით კი ესპანელი **დავიდ სილვა** ლიდერია: მან ერთი გოლი და სამი საგოლე პასი მიითვალა. სულ ესპანელებმა 5 გოლი გაიტანეს, სილვას აქედან მხოლოდ ერთში არ მიუღია მონაწილეობა.

აქვე გთავაზობთ ევრო 2012-ის II ტურის სიმბოლურ ნაკრებს goal.com-ის მიხედვით:

**პლეტიკოსა** (ხორვატია) - **მექსესი** (საფრანგეთი), **ჰუმელსი** (გერმანია), **მელბერგი** (შვედეთი) - **უოლკოტი** (ინგლისი), **მოუტინიო** (პორტუგალია), **შვაინშტაიგერი** (გერმანია), **სილვა** (ესპანეთი) - **ტორესი** (ესპანეთი), **გომესი** (გერმანია), **ბენდტნერი** (დანია).



დავიდ სილვა, ლიდერი გოლი+პასი სისტემით

## ინდივიდუალური სტატისტიკა

### გოლები

| გ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 3 | მარიო გომესი | გერმანია | 152 |
| 3 | ალან ძაგოევი | რუსეთი | 163 |
| 3 | მარიო მანჯუკიჩი | ხორვატია | 180 |
| 2 | სესკ ფაბრეგასი | ესპანეთი | 90 |
| 2 | ფერნანდო ტორესი | ესპანეთი | 90 |
| 2 | ანდრი შევჩენკო | უკრაინა | 171 |
| 2 | ნიკლას ბენდტნერი | დანია | 180 |
| 2 | ვაცლავ პილარი | ჩეხეთი | 180 |

*22 ფეხბურთელი 1-1 გოლი*

### საგოლე პასები

| პ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 3 | დავიდ სილვა | ესპანეთი | 154 |
| 3 | ანდრეი არშავინი | რუსეთი | 180 |
| 2 | ძარიმ ბენზემა | საფრანგეთი | 166 |
| 2 | ბას. შვაინშტაიგერი | გერმანია | 180 |

*24 ფეხბურთელი 1-1 საგოლე პასი*

### კარში დარტყმა (ზუსტი)

| დ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 8 | ძარიმ ბენზემა | საფრანგეთი | 166 |
| 8 | კრ. რონალდო | პორტუგალია | 180 |
| 7 | ანდრეს ინიესტა | ესპანეთი | 170 |
| 6 | რობინ ვან პერსი | ჰოლანდია | 180 |
| 5 | ალან ძაგოევი | რუსეთი | 163 |
| 5 | კლაუდიო მარკიზიო | იტალია | 180 |
| 5 | ვაცლავ პილარი | ჩეხეთი | 180 |
| 5 | ჩავი ერნანდესი | ესპანეთი | 180 |
| 4 | სესკ ფაბრეგასი | ესპანეთი | 90 |
| 4 | ფერნანდო ტორესი | ესპანეთი | 90 |
| 4 | მარიო გომესი | გერმანია | 152 |
| 4 | იოან კაბაი | საფრანგეთი | 153 |
| 4 | დავიდ სილვა | ესპანეთი | 154 |
| 4 | ანდრი შევჩენკო | უკრაინა | 171 |
| 4 | მარიო მანჯუკიჩი | ხორვატია | 180 |

### კარში დარტყმა (არაზუსტი)

| დ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 10 | ალექს. კერჟაკოვი | რუსეთი | 143 |
| 8 | არიენ რობენი | ჰოლანდია | 173 |
| 7 | იევჰ. კონოპლიანკა | უკრაინა | 180 |
| 6 | კიტ ენდრიუსი | ირლანდია | 180 |
| 5 | რობინ ვან პერსი | ჰოლანდია | 180 |
| 4 | იბრაჰიმ აფელაი | ჰოლანდია | 117 |
| 4 | მარიო ბალოტელი | იტალია | 125 |
| 4 | ანტონიო კასანო | იტალია | 148 |
| 4 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი | 155 |
| 4 | სამი ხედირა | გერმანია | 180 |
| 4 | რობ. ლევანდოვსკი | პოლონეთი | 180 |

### თამაშგარე

| თ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 4 | დიმ. სალპინგიდ. | საბერძნეთი | 134 |
| 3 | ფერნანდო ტორესი | ესპანეთი | 90 |
| 3 | დენის რომედალი | დანია | 144 |
| 3 | რობი კინი | ირლანდია | 165 |

### გაფრთხილება

| გ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 2 | სოკრ. პაპასტატოს. | საბერძნეთი | 44 |
| 2 | ჟერომ ბოატენგი | გერმანია | 180 |

### გაძევება

| გ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 1 | სოკრატის პაპასტატ. | საბერძ. | 44 |
| 1 | ვოიცეხ შჩესნი | პოლონეთი | 69 |

### ჯარიმა (მათზე)

| ჯ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 12 | გიორ. კარაგუნისი | საბერძნეთი | 180 |
| 9 | რობ. ლევანდოვსკი | პოლონეთი | 180 |
| 8 | თომას მიულერი | გერმანია | 180 |
| 8 | ვასილის ტოროსიდ. | საბერძნეთი | 180 |
| 7 | ალექ. კერჟაკოვი | რუსეთი | 143 |
| 7 | ანდრეს ინიესტა | ესპანეთი | 170 |
| 7 | ჟოაო მოუტინიო | პორტუგალია | 180 |
| 7 | იევჰენ ხაჩერიდი | უკრაინა | 180 |

### ჯარიმა (დაარღვიეს)

| ჯ. | ფეხბ. | ნაკრ. | წთ |
|---|---|---|---|
| 8 | მილან ბაროში | ჩეხეთი | 149 |
| 8 | მარიო მანჯუკიჩი | ხორვატია | 180 |
| 7 | მარიო ბალოტელი | იტალია | 125 |
| 7 | ოლოფ მელბერგი | შვედეთი | 180 |
| 6 | ნიკიცა იელავიჩი | ხორვატია | 155 |
| 6 | პეტრ ჟირაჩეკი | ჩეხეთი | 166 |
| 6 | რიჩარდ დანი | ირლანდია | 180 |
| 6 | რობ. ლევანდოვსკი | პოლონეთი | 180 |
| 6 | იანის მანიატისი | საბერძნეYთი | 180 |
| 6 | გიორგოს სამარასი | საბერძნეთი | 180 |
| 6 | იური ჟირკოვი | რუსეთი | 180 |

## გუნდური სტატისტიკა

### გოლები

| | |
|---|---|
| 5 | რუსეთი |
| 5 | ესპანეთი |
| 4 | ხორვატია |
| 4 | ინგლისი |

### გაშვებული ბურთები

| | |
|---|---|
| 1 | ესპანეთი |
| 1 | გერმანია |
| 1 | საფრანგეთი |

### კარში დარტყმა (ზუსტი)

| | |
|---|---|
| 29 | ესპანეთი |
| 26 | საფრანგეთი |
| 19 | პორტუგალია |
| 17 | ხორვატია |
| 14 | დანია |
| 14 | ჰოლანდია |
| 14 | შვედეთი |

### კარში დარტყმა (არაზუსტი)

| | |
|---|---|
| 27 | ჰოლანდია |
| 15 | პოლონეთი |
| 15 | ესპანეთი |
| 15 | უკრაინა |
| 14 | რუსეთი |

### კუთხური

| | |
|---|---|
| 17 | საფრანგეთი |
| 17 | ჰოლანდია |
| 17 | პორტუგალია |
| 15 | ესპანეთი |
| 11 | დანია |
| 10 | ხორვატია |

### გაფრთხილება

| | |
|---|---|
| 7 | საბერძნეთი |
| 6 | იტალია |
| 5 | ესპანეთი |
| 5 | შვედეთი |

### ჯარიმა (მათზე)

| | |
|---|---|
| 44 | საბერძნეთი |
| 35 | უკრაინა |
| 34 | ესპანეთი |
| 32 | პორტუგალია |
| 30 | იტალია |

### ჯარიმა (დაარღვიეს)

| | |
|---|---|
| 41 | ჩეხეთი |
| 40 | ხორვატია |
| 36 | პორტუგალია |

### ბურთის ფლობა (%)

| | |
|---|---|
| 63% | ესპანეთი |
| 56% | საფრანგეთი |
| 53% | რუსეთი |
| 52% | დანია |
| 52% | ჰოლანდია |
| 52% | გერმანია |
| 52% | ხორვატია |

## მატჩების სტატისტიკა

### მეტი გოლი

| | | |
|---|---|---|
| 5 | დანია-პორტუგალია | (2:3) |
| 5 | შვედეთი-ინგლისი | (2:3) |
| 5 | რუსეთი-ჩეხეთი | (4:1) |

### მეტი დარტყმა (ზუსტი)

| | | |
|---|---|---|
| 24 | ესპანეთი-ირლანდია | (4:0) |

### მეტი დარტყმა (არაზუსტი)

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჰოლანდია-დანია | (0:1) |

### მეტი კუთხური

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჰოლანდია-დანია | (0:1) |
| 15 | საფრანგეთი-ინგლისი | (1:1) |

### მეტი თამაშგარე

| | | |
|---|---|---|
| 7 | ესპანეთი-ირლანდია | (4:0) |

### მეტი ჯარიმა

| | | |
|---|---|---|
| 40 | საბერძნეთი-ჩეხეთი | (1:2) |

### მეტი გაფრთხილება

| | | |
|---|---|---|
| 7 | ესპანეთი-იტალია | (1:1) |

### მეტი გაძევება

| | | |
|---|---|---|
| 2 | პოლონეთი-საბერძნეთი | (1:1) |

## კასტროლ ინდექსი

### საბერძნეთი-ჩეხეთი

ტოპ-5

| ფეხბ. | ნაკრ. | ინდ |
|---|---|---|
| 1. მიხალ კადლეცი | ჩეხეთი | 9,24 |
| 2. ტომაშ ჰუბშმანი | ჩეხეთი | 8,83 |
| 3. ვაცლავ პილარი | ჩეხეთი | 8,70 |
| 4. გიორგოს კარაგუნისი | საბერ. | 8,60 |
| 5. პეტრ ჟირაჩეკი | ჩეხეთი | 8,44 |

### პოლონეთი-რუსეთი

ტოპ-5

| ფეხბ. | ნაკრ. | ინდ |
|---|---|---|
| 1. ალან ძაგოევი | რუსეთი | 9,02 |
| 2. სებასტიან ბორიში | პოლონეთი | 8,81 |
| 3. მარცინ ვასილიევსკი | პოლონეთი | 8,65 |
| 4. დამიენ პერკისი | პოლონეთი | 8,44 |
| 5. რობ. ლევანდოვსკი | პოლონეთი | 8,30 |

### დანია-პორტუგალია

ტოპ-5

| ფეხბ. | ნაკრ. | ინდ |
|---|---|---|
| 1. ნიკლას ბენდტნერი | დანია | 9,64 |
| 2. პეპე | პორტ. | 9,39 |
| 3. კრიშტიანო რონალდო | პორტ. | 8,85 |
| 4. ჟოაო მოუტინიო | პორტ. | 8,19 |
| 5. ელდერ პოშტიგა | პორტ. | 7,97 |

### ჰოლანდია-გერმანია

ტოპ-5

| ფეხბ. | ნაკრ. | ინდ |
|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | გერმანია | 9,43 |
| 2. ჰოლ. ბადშტუბერი | გერმანია | 9,13 |
| 3. რობინ ვან პერსი | ჰოლანდია | 9,08 |
| 4. მათს ჰუმელსი | გერმანია | 9,04 |
| 5. ბას. შვაინშტაიგერი | გერმანია | 8,43 |

### იტალია-ხორვატია

ტოპ-5

| ფეხბ. | ნაკრ. | ინდ |
|---|---|---|
| 1. კლაუდიო მარკიზიო | იტალია | 9,26 |
| 2. მარიო მანჯუკიჩი | ხორვატია | 8,91 |
| 3. გორ. შილდენფელდი | ხორვატია | 8,49 |
| 4. ივან სტრინიჩი | ხორვატია | 8,26 |
| 5. ჯანლუიჯი ბუფონი | იტალია | 8,24 |

### ესპანეთი-ირლანდია

ტოპ-5

| ფეხბ. | ნაკრ. | ინდ |
|---|---|---|
| 1. დავიდ სილვა | ესპანეთი | 9,55 |
| 2. ჟერარდ პიკე | ესპანეთი | 9,54 |
| 3. ჩავი ერნანდესი | ესპანეთი | 9,51 |
| 4. ფერნანდო ტორესი | ესპანეთი | 9,43 |
| 5. ანდრეს ინიესტა | ესპანეთი | 9,21 |

### უკრაინა-საფრანგეთი

ტოპ-5

| ფეხბ. | ნაკრ. | ინდ |
|---|---|---|
| 1. ფილიპ მექსესი | საფრ. | 9,17 |
| 2. ადილ რამი | საფრ. | 9,02 |
| 3. იოან კაბაი | საფრ. | 8,97 |
| 4. ალუ დიარა | საფრ. | 9,82 |
| 5. მატიო დებიუში | საფრ. | 8,70 |

### შვედეთი-ინგლისი

ტოპ-5

| ფეხბ. | ნაკრ. | ინდ |
|---|---|---|
| 1. დენი უელბეკი | ინგლისი | 9,34 |
| 2. ზლ. იბრაჰიმოვიჩი | შვედეთი | 8,83 |
| 3. ჯონ ტერი | ინგლისი | 8,82 |
| 4. სტივენ ჯერარდი | ინგლისი | 8,79 |
| 5. ოლოფ მელბერგი | შვედეთი | 8,52 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




ტოპ-10 მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით ორი ტურის შემდეგ



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვარლამ ლიპარტელიანი

ძიუდო



### BP – საქართველოს მხარდასაჭერად

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში.

BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

C ჯგუფი. III ტურის წინ

# ევრო 2012

18.06. პოზნანი. მუნიციპალური სტადიონი. 22:45

**იტალია-ირლანდია**

დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: ბალოტელი (?)

**ბოლო 5 მატჩი**

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| იტალია-ურუგვაი | 0:1 |
| იტალია-აშშ | 0:1 |
| იტალია-რუსეთი | 0:3 |
| **ევრო 2012** | |
| ესპანეთი-იტალია | 1:1 |
| იტალია-ხორვატია | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| ირლანდია-ჩეხეთი | 1:1 |
| ირლანდია-ბოსნია | 1:0 |
| უნგრეთი-ირლანდია | 0:0 |
| **ევრო 2012** | |
| ირლანდია-ხორვატია | 1:3 |
| ესპანეთი-ირლანდია | 4:0 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იტალია (3-5-2):** ბუფონი – ბონუჩი, ბარცალი, კიელინი – პირლო, დე როსი, მარკიზიო, მაჯო, ჯაკერინი – კასანო, დი ნატალე.
**ირლანდია (4-4-2):** გივენი – დანი, ოში, უარდი, სტ. ლედჯერი – მაკგიდი, დაფი, უელანი, ენდრიუზი – კოქსი, კინი.
**მსაჯი:** კუნიეთ ჩაკირი (თურქეთი)

# იტალია VS ტრაპატონი

## გადამწყვეტი მატჩის მოლოდინში

### ისტორია

იტალიის ნაკრებისთვის ირლანდია საკმაოდ უხერხული მეტოქეა და ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ბოლო შეხვედრები გავიხსენოთ; მაგალითად, 2011 წელს ეს გუნდები ამხანაგურად შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვება სწორედ კელტებს დარჩა - 2:0. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე იტალია და ირლანდია ერთად მოხვდნენ – ორივე თამაში ფრედ დასრულდა, დუბლინში 2:2, აპენინებზე კი 1:1. შეგვიძლია 1994 წლის მუნდიალი გავიხსენოთ, სადაც ეს გუნდები ჯგუფური ეტაპის სასტარტო მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვება მაშინაც კელტებს დარჩათ. მოკლედ, "სკუადრა აძურასთვის" ირლანდია მეტად უხერხული მეტოქეა, თუმცა მოახლოებულ პაექრობაში იტალია ალბათ ისეთი ფავორიტია, როგორც არასდროს აქამდე.

### სატურნირო ცხრილი

სატურნირო ცხრილში მეტად ჩახლართული მდგომარეობაა და ისეც შეიძლება მოხდეს, რომ მეოთხედფინალურ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ფიფას სანაკრებო რეიტინგმა გადაწყვიტოს. შევეცდებით, მოკლედ ავხსნათ ყველაფერი... თუ იტალიამ ირლანდიას ვერ მოუგო, მაშინ მომდევნო ეტაპზე ესპანეთი და ხორვატია გადიან. თუმცა, უმჯობესია ქვემოთ, ის ვარიანტები ვთქვათ, თუ რა შემთხვევაში გადის იტალია პლეი ოფში და ყველაფერი ნათელი გახდება...

იტალია გავა იმ შემთხვევაში, თუ ირლანდიას მოუგებს ნებისმიერი ანგარიშით, ესპანეთი-ხორვატია კი ერთმანეთში ან ნულოვან ფრეს ითამაშებენ, ან რომელიმე მოიგებს; იტალია გავა იმ შემთხვევაშიც, თუ ესპანეთისა და ხორვატიის პაექრობა 1:1 დასრულდება, თვითონ "აძურა" კი ირლანდიას ან 3 ბურთის სხვაობით მოუგებს, ან ორი ბურთის სხვაობით, ოღონდ 3:1 და ზემოთ. თუ ხორვატებმა და ესპანელებმა შედეგიანი ფრე ითამაშეს, მაგალითად 2:2 და ზემოთ, **ჩეზარე პრანდელის** გუნდი ყველა შემთხვევაში ჯგუფში ჩარჩება. თუმცა, აპენინებზე სჯერათ, რომ ესპანელები წინასწარ არაფერს დაგეგმავენ და ფეარ პლეის პრინციპებს ბოლომდე დაიცავენ.

### მატჩის წინ

მატჩის დამატებითი ინტრიგა ის გახლავთ, რომ **ჯოვანი ტრაპატონის** თანამემამულეების წინააღმდეგ მოუწევს დაპირისპირება. თანაც, მაშინ, როდესაც მისი გუნდი უმოტივაციოდაა, იტალიას კი ქულები ჰაერივით სჭირდება. თქმა არ უნდა, ტრაპი შეგირდებს საბრძოლველად გაიყვანს მინდორზე, მაგრამ რა იტრიალებს მის გულში, ერთი ღმერთმა უწყის.

ირლანდიის შესახებ პრესაში ბევრი არაფერი იწერება და ძალიან რთულია იმის განჭვრეტა, თუ რა შემადგენლობა შეიძლება დააყენოს ტრაპატონიმ. არის ვერსია, რომ ირლანდიის სასტარტო თერთმეტეული მთლიანად შეიცვლება, მატრამ უმეტესობა მაინც სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს: კელტებს კარის გაჯახუნება სურთ და იტალიას ოპტიმალურ შემადგენლობას დაუპირისპირებენ.

რაც შეეხება "სკუადრა აძურას", სავარაუდოდ, ნაცადი 3-5-2 ტაქტიკით გაირჯება და შეტევის წინა ხაზზე ისევ **ანტონიო კასანო-მარიო ბალოტელის** ტანდემს ვიხილავთ. ნახევარდაცვაში აიწევს **დანიელე დე როსი**, რომლის მხარდამხარ **ანდრეა პირლო, კლაუდიო მარკიზიო, კრისტიან მაჯო** და **ემანუელე ჯაკერინი** ითამაშებენ. ანუ, თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, დე როსის შუა ხაზში აწევა, **ტიაგო მოტას** სასტარტო შემადგენლობიდან ამოგდებას გამოიწვევს. რაც შეეხება დაცვის ცენტრს, იქ **ლეონარდო ბონუჩისთან** და **ჯორჯო კიელინისთან** ერთად, ტრავმამოშუშებული **ანდრეა ბარცალი** გაირჯება.

იტალიის ნაკრები უდავო ფავორიტია, შეუტევს და შეეცდება რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოიგოს – წესით, ძალიან საინტერესო მატჩის მომსწრენი უნდა გავხდეთ და ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.



იტალიის ნაკრები ირლანდიასთან თამაშისთვის ემზადება

### კომენტარები

**ჩეზარე პრანდელი (იტალია):** "დარწმუნებული ვარ, რომ ესპანელები ფეარ პლეის პრინციპებს ბოლომდე დაიცავენ და ჩვენ, ჩვენ საქმეზე უნდა ვიფიქროთ. ირლანდიასთან მძიმე მატჩი გველის, რადგან ჯოვანი ტრაპატონის მებრძოლი გუნდი ჰყავს. თუმცა, გამარჯვება ჩვენ უფრო გვჭირდება და დარწმუნებული ვარ, რომ სასურველ შედეგს მივაღწევთ. აუცილებლად უნდა შევუტიოთ, პირველივე წუთებიდან".

**ჯანლუიჯი ბუფონი (იტალიია):** "ხორვატებთან ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ერთი შეცდომა ძვირად დაგვიჯდა. ამასთან, მომენტების რეალიზაციაში მოვიკოჭლეთ და ამ მხრივაც უნდა გამოვასწოროთ მდგომარეობა. პირველ ტაიმში, ორი-სამი გოლი მაინც უნდა გაგვეტანა, მაგრამ თითქოს ფორტუნამაც ზურგი გვაქცია. თუ ირლანდიელებთან ბოლო ფაზაში მეტ სიზუსტეს გამოვიჩენთ, სასურველი შედეგის მიღწევა არ გაგვიჭირდება".

**ლაშა წიკლაური**

---

18.06. გდანსკი. არენა გდანსკი 22:45

**ხორვატია-ესპანეთი**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: იელავიჩი (?)

**ბოლო ხუთი მატჩი**

| | |
|---|---|
| **ხორვატია** | |
| ხორვატია-შვედეთი | 1:3 |
| ხორვატია-ესტონეთი | 3:1 |
| ნორვეგია-ხორვატია | 1:1 |
| **ევრო 2012** | |
| ირლანდია-ხორვატია | 1:3 |
| იტალია-ხორვატია | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| ესპანეთი-სერბეთი | 2:0 |
| ესპანეთი-ს. კორეა | 4:1 |
| ესპანეთი-ჩინეთი | 1:1 |
| **ევრო 2012** | |
| ესპანეთი-იტალია | 1:1 |
| ესპანეთი-ირლანდია | 4:0 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ხორვატია:** პლეტიკოსა - სრნა, ჩორლუკა, შილდენფელდი, სტრინიჩი - ვუკოევიჩი, რაკიტიჩი - მანჯუკიჩი, მოდრიჩი, პერიშიჩი - იელავიჩი.
**ესპანეთი:** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პიკე, ალბა - ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო - სილვა, ჩავი, ინიესტა - ტორესი.
**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (ესპანეთი)

# 2:2 და მეტი

## ბილიჩი ტაქტიკას ისევ შეცვლის?

2:2 ან 3:3 და ასე შემდეგ ანგარიშით დასრულებული მატჩი დღევანდელ მეტოქეებს პლეი ოფში გასვლის გარანტიას აძლევს, თანაც ისე, რომ შეუძლიათ, საერთოდ არ დაინტერესდნენ მეორე მატჩში პარალელურად - იტალიელებმა სულ რომ თავი მოიკლან ირლანდიელებთან, არაფერი გამოუვათ. აპენინებზე ყველაზე მეტად სწორედ ამის ეშინიათ, რომ ხორვატები და ესპანელები ასეც მოიქცევიან, თუმცა ერთნიც და მეორენიც აცხადებენ, რომ იტალიელებს მისამართი ეშლებათ და იმას სხვას ნუ აბრალებენ, რაშიც თავად არიან ხშირად შემჩნეულები...

### ნიკიცას გასაჭირი

სლავენ ბილიჩმა იტალიასთან მატჩში გუნდი 4-4-2-დან 4-2-3-1-ზე გადააწყო და ამან შედეგი მოიტანა - სლავებმა გაათანაბრეს. ვფიქრობთ, ესპანელებთანაც 4-2-3-1-ს უნდა ველოდოთ. **მარიო მანჯუკიჩი**, რომელიც 3 გოლით ერთ-ერთი თანაბომბარდირია, მარჯვენა შემტევ ნახევარმცველად დაიწევს, ხოლო საყრდენ **ვუკოევიჩს რაკიტიჩი** დაეხმარება. ამ შემთხვევაში **მოდრიჩს** შეტევისთვის მეტი სივრცე გამოუთავისუფლდება. ალბათ, ასე უფრო იოლი იქნება ესპანეთის სუპერ შუა ხაზის შეჩერება, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია.

შაბათს ვარჯიშზე ხორვატების ბანაკში არ იყო „ევერტონის" თავდამსხმელი **ნიკიცა იელავიჩი**, მას გრიპი აქვს. მაგრამ დიდი შანსია, რომ გდანსკში მაინც იელავიჩი ვიხილოთ მოედანზე.

რატომ უნდა შეცვალოს რამე **ვისენტე დელ ბოსკემ**, რომელმაც ახლახან 2014-წლამდე გააგრძელა ნაკრებთან კონტრაქტი? ჩვენ უნდა ველოდოთ იდენტურ 11-ეულს, მაგრამ არის ერთი საკითხი - **ჩაბი ალონსოს, ალვარო არბელოას, ფერნანდო ტორესსა** და **ხორდი ალბას** ყვითელი ბარათები აქვთ მიღებული და ფრთხილად უნდა იყვნენ. მეორე ტაიმში უნდა ველოდოთ **ფერნანდო ლორენტესა** და **ხუან მატას** გამოჩენასაც.

### სადებიუტო ჯახი

ხორვატიასა და ესპანეთს ოფიციალურ მატჩში არასოდეს უთამაშიათ, გდანსკის შეხვედრა პირველი იქნება - აქამდე გამართული 4 ამხანაგური შეხვედრიდან 2 ესპანელებმა მოიგეს, ერთი კი - ხორვატებმა. ბურთების სხვაობა 5-4 ესპანელთა სასარგებლოდ. მოკლედ, ესპანეთი ხორვატიისთვის თითქმის უცხო ხილია და პირიქით.



სლავენ ბილიჩი პრესკონფერენციაზე

ორივე გუნდს 4-4 ქულა აქვს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო, ფრის შემთხვევაში ესპანეთი ხორვატიაზე წინ დარჩება. ანუ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც ჰყოფნით, თუმცა პირველი ადგილის დასაბევებლად უნდა მოიგონ. თუკი ესპანეთი 1:1-ს ითამაშებს და იტალია 4:0-ს მოუგებს ირლანდიას, ესპანეთის ნაკრები პირველ ადგილს უეფას კოეფიციენტის მიხედვით მიიღებს, რადგან სხვა ყველა მონაცემი ამ ორ გრანდს თანაბარი ექნება.

მოგების შემთხვევაში ხორვატები პირველ ადგილზე გადიან. მათ ასევე აწყობთ ფრე, რათა ჯგუფიდან გავიდნენ, ოღონდ არა 0:0 ან 1:1. 0:0-ის შემთხვევაში იტალიელებს მოგებაც კი ჰყოფნით სლავების გასასწრებად, 1:1-ზე კი იტალიელებმა 3:1 მაინც უნდა მოიგონ (ამ შემთხვევაში იტალიას უეფას უკეთესი კოეფიციენტი უშველის). ხორვატიამ რომც წააგოს, გავა, თუკი იტალიელები თამაშს ვერ მოიგებენ.

### ფაქტები

* 2007-2010 წლებში **სესკ ფაბრეგასი** და **ედუარდო** ერთად თამაშობდნენ „არსენალში".

* ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელთაგან ივან რაკიტიჩი თამაშობს ლა ლიგაში (სევილია). **ტომისლავ დუიმოვიჩმა** კი გასული სეზონის მეორე ნახევარი გაატარა „სარაგოსაში".

* 2008 წლის პენალტების სერიაში თურქებთან მარცხის შემდეგ ხორვატია ევროპის ჩემპიონატებზე არ წაუგია - სერია უკვე 6-მატჩიანია.

* ესპანელებმა ირლანდიასთან მატჩში ევროპის ჩემპიონატის რეკორდი დაამყარეს - 860 პასი. წინა მიღწევა, 778 პასი, ასევე მათ ეკუთვნოდა.

* ირლანდიასთან მატჩში **ჩავის** ანგარიშზე 136 პასია, ეს ახალი რეკორდია ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში - **რონალდ კუმანის** შედეგი 117 პასი დანიასთან (1992 წ.) გაუმჯობესებულია.

* ფერნანდო ტორესმა 30 გოლი გაიტანა ესპანეთის ნაკრებში და ახლა „ფურია როხას" ისტორიაში მესამე ბომბარდირია **ვილიასა** და **რაულის** შემდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევრო 2012






# დონეცკი უკმაყოფილოა ბლოხინით

საფრანგეთთან წაგებამ დონეცკელი ფანების რისხვა გამოიწვია, არა იმიტომ რომ წააგო უკრაინამ, არამედ იმიტომ, რომ მათი სათაყვანებელი ნაკრები დამფრთხალი და უსუსურად გამოიყურებოდა. ამაზე დაწვრილებით მოგვიანებით, მანამდე კი მოგითხრობთ თუ რა ხდებოდა სტადიონზე მატჩის 55 წუთით შეწყვეტის დროს. მაყურებელთა ნახევარმა რამდენიმე წუთში მოახერხა ტრიბუნების ქვედა გადაუხურავი იარუსების დატოვება და თავის შეფარება უეცრად თავს დატეხილი სეტყვისა და ჭექა-ქუხილისგან. სეტყვის მარცვლების წონა 50 გრამს აღწევდა. მაყურებელთა მეორე ნახევარი, რომლებიც სტადიონის ზედა გადახურულ იარუსებზე იყო, მათ შორის ჩვენც, ტრიბუნებზე დარჩა: ზოგი ცეკვავდა, ზოგი მღეროდა, სხვები ლუდს მიირთმევდნენ - რადგან ადმინისტრაციამ მაყურებელთა ყურადღება ტრიბუნებზე შემოტანილი უალკოჰოლო და მცირე ალკოჰოლურ სასმელებზე გადაიტანა. მობილური და ინტერნეტკავშირი შეფერხდა, ჩემს გვერდით მჯდომმა ხარკოველმა მეცნიერებმა უკრაინის ხელისუფლება დაადანაშაულეს იმაში, რომ მათ არ გაითვალისწინეს სინოპტიკოსების პროგნოზი და არ იზრუნეს ღრუბლების გაფანტვაზე. ეს სიტყვები პირდაპირ ეთერში გადავეცი ერთ-ერთ უკრაინულ რადიოსადგურს მატჩის იძულებითი შეწყვეტის დროს. ფანები ითხოვენ, რომ მომავალში სინოპტიკოსების პროგნოზზე დაყრდნობით ხელისუფლებამ იზრუნოს პრევენციულ ზომებზე, რაც უნდა ძვირი სიამოვნება იყოს ეს. მატჩის შეწყვეტის დროს ჩვენთან (თან დაგვაქვს საქართველოს დროშები, ჩვენს მაისურებზე გვაქვს წარწერა GEORGIA SOKHUMI) ბევრი უკრაინელი და არა მარტო, მოდიოდა და აფიქსირებდა საკუთარ სიმპათიას საქართველოსადმი. ანალოგიურ დამოკიდებულებას ვგრძნობთ ქუჩებშიც და წარმოიდგინეთ, კაფეებშიც. ზოგიერთი ხმამაღალი შეძახილით ლექსად კითხულობს წარწერას ჩვენს მაისურზე და მადლობასეუბნება საქართველოს.

ახლა კი რაც შეეხება ფანების პოზიციას თვით უკრაინის ეროვნულ ნაკრებზე და მის მწვრთნელზე. უკვე ორი დღეა გულშემატკივრები სხვადასხვა ადგილას იკრიბებიან და ბლოხინისაგან ითხოვენ, რომ ინგლისთან მაინც ათამაშოს "შახტარის" გამოცდილი მცველი რაკიტსკი, ის საიმედო და სტაბილური მცველია და აქტიურად ერთვება შეტევებში. ითხოვენ ასევე სხვა ცვლილებებსაც: სტანდარტული სიტუაციების დროს ალიევმა არ შეუშალოს ხელი შევჩენკოს; ითხოვენ, რომ ბლოხინმა და სამწვრთნელო შტაბმა ფსიქოლოგიურად უკეთ მოამზადონ გუნდი, ვიდრე ეს იყო ფრანგებთან და რომ ნაკრები მოედანზე შიშით არ გამოვიდეს.

უკვე მეორე დღეა "დონბას-არენის" სალაროებში ინგლისი-უკრაინის მატჩის ბილეთების გაცემა მიმდინარეობს მათთვის, ვინც მაისში წინასწარ გადაიხადა თანხა. ბილეთების ოფიციალური ფასი კატეგორიების მიხედვით მერყეობს 40 $- დან - 100 $-მდე, გადამყიდველებთან ეს ფასი ორი-ორნახევარჯერ ძვირია. მატჩზე მოსალოდნელია ანშლაგი.

და ბოლოს, ორშაბათს დაგეგმილია ჩვენი შეხვედრა კლუბ "შახტარის" წარმომადგენლებთან. ჩვენ მათ საჩუქრად გადავცემთ სახელოვანი ქართველი ფოტორეპორტიორის, "ლელოს" ფოტოკორესპონდენტის **სანდრო კოტორაშვილის** რამდენიმე სურათს, რომელიც მან 1970-80-იან წლებში თბილისში, "დინამოსა" და "შახტიორის" შეხვედრების დროს გადაიღო. ეს სურათები ბატონი სანდროს პირადი ფოტოარქივის ნაწილია და მან დონეცკში "შახტიორისათვის" საჩუქრად გამოგვატანა. "შახტარის" პრესსამსახურს ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ შევატყობინეთ თბილისიდან ამის შესახებ, რაზედაც დიდი სიხარულითა და მადლიერებით გვიპასუხეს: "ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა "დინამოსა" და "შახტიორის" მე-20 საუკუნეში გამართული მატჩების ამსახველი თბილისური ფოტოები, ჩვენ მათ საკადრის ადგილს მივუჩენთ.

**თენგიზ პაჭკორია**
დონეცკიდან სპეციალურად
"ლელოსთვის"
*ხათუნა გაბიტაშვილის ფოტოები*



მძლეოსნობა

# საგზური - ევროპის რეკორდი - ერთბაშად

თბილისში „დინამო არენაზე" ორ დღეს გრძელდებოდა 1995-1997 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც ქვეყნის ყველა რეგიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მძლეოსნურ სექტორებზე ახალგაზრდების პარალელურად უფროსი თაობის წარმომადგენლებმაც მოსინჯეს ძალები, მათ შორის - ისრაელიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა ათლეტებმა. შაბათს მოასპარეზეთა და გულშემატკივართა ყურადღება სიმაღლეზე სახტომი სექტორისკენ იყო მიპყრობილი - აქ თამასას ეულად ებრძოდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი **ზურაბ გოგოჭური**, რომელმაც ორიოდე კვირის წინათ თურქეთში თავისივე მიღწევა 1 სანტიმეტრით (225 სმ) გააუმჯობესა. ამჯერად გოგოჭურმა სარეკორდო სიმაღლე ისევ გაზარდა - 2,26 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ამ შეჯიბრებას 25 ივნისიდან ჰელსინკი უმასპინძლებს. ფინეთის დედაქალაქში გოგოჭურთან ერთად **სალომე რიგიშვილი** (ბადრო), **დავით ილარიანი** (თარჯრბენი), **მაიკო გოგოლაძე** და **ბოლესლავ სხირტლაძე** (ორივე - სიგრძეზე ხტომა) გაემგზავრებიან. ამ ხუთეულიდან ილარიანს, გოგოლაძეს და სხირტლაძეს ლონდონის ოლიმპიადაზე გასამგზავრებელი ადგილები დაჯავშნილი აქვთ, ხოლო გოგოჭური და რიგიშვილი ოცნების ასრულებას ჰელსინკში შეეცდებიან.

რაც შეეხება „დინამო-არენაზე" ახალგაზრდების შეჯიბრებას, განსაკუთრებით **მარიამ ბედუკაძემ, სოფი ჩალაშვილმა, გიორგი აზარაშვილმა** და **თორნიკე სვანიძემ** იყოჩაღეს, რომლებმაც ორ-ორი ოქროს მედალი მოიპოვეს.

აქვე გაუწყებთ პირველობის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

## ქვარცხლბექი

**გოგონები. 100 მ.** 1. სოფი ჩალაშვილი (თბილისი, 13,08), 2. ნინო გვიანიძე (აჭარა, 13,44), 3. დეა საზუაშვილი (თბილისი, 13,56). **200 მ.** 1. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 27,17), 2. ნინო გვიანიძე (27,70), 3. მარი გამგონეიშვილი (ორივე - აჭარა, 29,37). **400 მ.** 1. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 1.02,99), 2. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 1.03,75), 3. ანა ვახტანგაძე (თბილისი, 1.04,43). **800 მ.** 1. მარი ჭეიძე (თბილისი, 2.39,32), 2. გაიანე გაბრიელიანი (2.43,57), 3. მარინე სირაკანიანი (ორივე - ახალციხე, 2.52,72). **1500 მ.** 1. თამრიკო შამოევა (თბილისი, 5.39,58), 2. მარინე სირაკანიანი (ახალციხე, 5.48,61). **3000 მ.** 1. თამრიკო შამოევა (თბილისი, 12.48,99). **100 მ/თ.** 1. მარი ძაგნიძე (ვანი, 16,59), 2. დეა საზუაშვილი (თბილისი, 17,10). **400 მ/თ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 1.12,81), 2. სალომე ჩაბაკაური (თბილისი, 1.15,20). **ესტაფეტა. 4X100 მ.** 1. თბილისი - 54,07 (მარი ჭეიძე, ნესტან დათუნაშვილი, დეა საზუაშვილი, მარიამ ბედუკაძე). 2. ვანი - 58,07, 3. ოზურგეთი - 58,45. **სიგრძე.** 1. სოფი ჩალაშვილი (თბილისი, 5,25), 2. მარი ძაგნიძე (ვანი, 5,18), 3. ნანი სირაძე (ქუთაისი, 5,05). **სიმაღლე.** 1. ქრისტინა ზოლოტუხინა (150), 2. ვიკა შიშლოვა (ორივე - თბილისი, 125). **სამხტომი.** 1. ნანი სირაძე (ქუთაისი, 10,82), 2. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 10,24). **ჭოკი.** 1. დიანა ზოლოტუხინა (თბილისი, 200). **ბირთვი.** 1. სოფო შათირიშვილი (8,15), 2. მარიამ კეკელიძე (7,18), 3. მარიამ პაკელიანი (სამივე - ოზურგეთი, 6,98). **ბადრო.** 1. მარიამ პაკელიანი (ოზურგეთი, 20,02), 2. ნატა სანაია (წალენჯიხა, 16,30), 3. მედეა ჯანანაშვილი (ხობი, 15,51). **შუბი.** 1. ვერონიკა გალუზინსკაია (თბილისი, 21,77), 2. მარიამ კეკელიძე (20,47), 3. ლიკა კეკელიძე (ორივე - ოზურგეთი, 18,21).

**ვაჟები. 100 მ.** 1. გიორგი აზარაშვილი (თბილისი, 11,2), 2. ბექა კურტანიძე (აჭარა, 11,6) 3. თემურ აზრუმელაშვილი (თბილისი, 11,7). **200 მ.** 1. გიორგი აზარაშვილი (23,21), 2. გიგა ბერძენიშვილი (ორივე - თბილისი, 23,99), 3. ბექა კურტანიძე (აჭარა, 24,14). **400 მ.** 1. გიგა ჭიკაძე (53,87), 2. გიგა ბერძენიშვილი (ორივე - თბილისი, 54,06), 3. აკაკი გოგოლაძე (ბორჯომი, 58,49). **800 მ.** 1. ჯიმშერ ბუკია (ხობი, 2.10,19), 2. ნიკა სამხარაძე (2.21,79), 3. სანდრო ლამბაშიძე (ორივე - თბილისი, 2.22,96). **1500 მ.** 1. ჯიმშერ ბუკია (ხობი, 4.33,93), 2. გელა ტაბატაძე (ახალციხე, 4.48,23), 3. გიორგი გოჩელაშვილი (ქუთაისი, 4.51,87). **3000 მ.** 1. გელა ტაბატაძე (ახალციხე, 10.19,62), 2. გიორგი გოჩელაშვილი (ქუთაისი, 10.48,02). **110 მ/თ.** 1. თემურ აზრუმელაშვილი (თბილისი, 15,61), 2. ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 15,83). **400 მ/თ.** 1. ავთანდილ ლონლაძე (1.00,14), 2. ნიკოლოზ გოგიაშვილი (ორივე - ქუთაისი, 1.06,80), 3. აკაკი გოგოლაძე (ბორჯომი, 1.10,79). **ესტაფეტა. 4X100 მ.** 1. თბილისი - 44,43 (გიგა ბერძენიშვილი, გიორგი აზარაშვილი, თემურ აზრუმელაშვილი, გიგა ჭიკაძე), 2. ქუთაისი - 47,20, 3. ხობი - 49,37. **სიგრძე.** 1. ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 6,03), 2. გოგა მაღლაკელიძე (თბილისი, 5,98), 3. გიორგი რურუა (მარტვილი, 5,87). **სიმაღლე.** 1. ავთანდილ ლონლაძე (ქუთაისი, 185), 2. დავით ალხანიშვილი (მარტვილი, 185), 3. სანდრო ყამერაშვილი (თბილისი, 160). **სამხტომი.** 1. ავთანდილ დოლონაძე (13,28), 2. გოგა მაღლაკელიძე (13,23), 3. ნიკოლოზ გოგიაშვილი (სამივე - ქუთაისი, 12,70). **ჭოკი.** 1. ლაშა ქარქუსაშვილი (240). 2. რატი მიქაძე (200), 3. მიშა ცანავა (სამივე - თბილისი, 190). **ბირთვი.** 1. თორნიკე სვანიძე (თბილისი, 12,51), 2. კახა მორგოშია (ზუგდიდი, 12,23), 3. გიორგი კორტავა (ხობი, 10,56). **ბადრო.** 1. თორნიკე სვანიძე (თბილისი, 32,52), 2. კახა მორგოშია (ზუგდიდი, 31,90). **შუბი.** 1. გიორგი კორტავა (ხობი, 34,40), 2. მერაბ ლატარია (ზუგდიდი, 22,91), 3. ნიკო ქარდავა (წალენჯიხა, 21,12). **ურო.** 1. გიორგი ტყემალაძე (თბილისი, 45,34).

**გუნდური. I ჯგუფი.** 1. თბილისი - 357, 2. ქუთაისი - 313, 3. აჭარა - 113 ქულა. **II ჯგუფი.** ვანი - 101, 2. ხობი - 99, 3. ბორჯომი - 80 ქულა.

**ვაჟა დანელია**
*ავტორის ფოტო*



კრივი. უნივერსიადის ექო

# დონე მაღლდება

**საქართველოს უნივერსიადის პროგრამით ამას წინათ გორში გამართულ მოკრივეთა ტურნირში ადგილობრივმა უნივერსიტეტმა (მონაწილეობდა 9 უმაღლესი სასწავლებელი) მედლების რაოდენობით (1, 5, 1) გუნდური გამარჯვება მოიპოვა. გორელებმა შარშანაც არავის დაუთმეს პირველობა. სულ კი ამ სასწავლებელმა მეოთხედ მოიპოვა ასეთი შედეგი. ყველა წარმატება მიღწეულია მწვრთნელ ნიკო ანდღულაძის ხელმძღვანელობით, რომელიც დღეს "ლელოს" სტუმარია.**

- ცხრა მოკრივე გავიყვანეთ რინგზე, რომელთაგან რვა ადგილობრივია. წინა სამ გუნდურ პირველობაში წარმატებაც ძირითადად გორელი სტუდენტების მიერაა მოპოვებული.




უნივერსიადის საკრივო შეჯიბრების მომენტი გორის სასპორტოს სკოლის დარბაზში

შარშან შვიდი, ადრე კი თორმეტ-თორმეტი მოკრივით გავიმარჯვეთ უნივერსიადებში, - გვითხრა მწვრთნელმა.

**- როგორც ჩანს, სისტემა აწყობილი გაქვთ, რაც ალბათ, საკუთარი რინგის დამსახურებაცაა...**

- უკანასკნელი ორი წელია უნივერსიტეტის განახლებულ დარბაზებში ვემზადებით, პირობები გაცილებით გაუმჯობესებულია. შემადგენლობის შერჩევაზე კი ფაქტობრივად სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ვიწყებთ ზრუნვას. საგაისო სავარაუდო შემადგენლობაც უკვე შერჩეული გვყავს.

რექტორი გიორგი სოსიაშვილი დიდ პატივს სცემს სპორტს და ყოველთვის მხარში გვიდგას. მისი ვაჟიც ვარჯიშობს ჩვენთან კრივის სექციაში. რექტორის ხელშეწყობით ვგეგმავთ ჩვენი ქვეყნის სხვა უნივერსიტეტებთან სამატჩო შეხვედრებს, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს სტუდენტთა სპორტის განვითარებას.

**- საერთოდ უნივერსიადაში მონაწილეთა დონეს როგორ შეაფასებდით?**

- ვფიქრობ, უნივერსიადა თანდათან ძლიერი შეჯიბრება ხდება. წლეულს მასში უკვე 91 კილოში ევროპის შარშანდელმა პრიზიორმა ჯაბა ხოსიტაშვილმაც იასპარეზა. პროფესიულ რინგზე არაერთი სარეიტინგო შეხვედრა აქვს გამართული ერთ-ერთ ჩვენს წარმომადგენელს 60 კგ-ში ალექსანდრე ვახტანგაშვილს. გულდასაწყვეტია, რომ მან ფინალური ორთაბრძოლა ვერ მოიგო, არადა უნივერსიადის შარშანდელი გამარჯვებულია და ახლაც პირველ ადგილს ვუგეგმავდი. სამაგიეროდ, პირველი ადგილით გაგვახარა დავით თედიაშვილმა (69), რომელსაც ფინალში გასვლასაც წარმატებად ჩავუთვლიდი. შეჯიბრების კარგმა ორგანიზებამ და ობიექტურმა მსაჯობამ ავთანდილ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით დადებითი გავლენა მოახდინა ასპარეზობაზე.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
*დავით ასპანიძის ფოტო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები



ნიკოლოზ პეტრიაშვილი

ჭადრაკი

## საუკეთესოებს დააფინანსებენ

ქუთაისის სპორტის სასახლეში 6-13 ივლისს 8, 10 და 12 წლის მოჭადრაკეები ევროპის თასს გაითამაშებენ. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს 7-7 ტური გამოავლენს. სამივე ასაკში პირველ-მეხუთე ადგილებზე გასულთ პრიზებად ნოუთბუქები, ნეთბუქები, მობილური ტელეფონები, აიპოდები და ფოტოაპარატები ელით.

ტურნირზე მრავლად იქნებიან მასპინძლები. დედაქალაქის ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქუთაისში გასამგზავრებლად თბილისის თასის მფლობელი და ამ ტურნირზე გოგონათა შორის საუკეთესო დაფინანსდება. ეს შეჯიბრება თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დასრულდება, თუმცა გამარჯვებულის ვინაობა უკვე ცნობილია: გუშინ **ნიკოლოზ პეტრიაშვილმა** ზედიზედ მეექვსედ მიაღწია წარმატებას (შავი ფიგურებით **მათე თოდაშვილი** დაამარცხა) და ტურით ადრე გაინაღდა პირველობა. გოგონებში 4 ქულით **ანასტასია სიდამონიძე** მეწინავეობს. გუშინ მან შავი ფიგურებით **ჯაფარიძეს** სძლია. 3 ქულა აქვს **თამარ ლაგაზაურს**, რომელმაც მე-6 ტურში **დავით ჯორბენაძესთან** დათმო პარტია. გოგონებში უძლიერესი დღეს გამოვლინდება. საამისოდ სიდამონიძეს ყაიმიც ჰყოფნის.

## მეხუთედ ჯერმუკში

გასულ უქმეებზე სომხურ ჯერმუკში დაიწყო დიდოსტატ კარენ ასრიანის მე-5 მემორიალი, რომელშიც ექვსი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს. ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ოთხეული დაწინაურდა. ამ კვარტეტშია **დავით ლომსაძე**, რომელმაც მარიამ მანუკიანი და გრიგორი ოპარინი დაამარცხა. გუშინ მე-2 ტურში **დავით არუთინიანი** არმან პაირაპეტიანს, ხოლო **დავით მალალაშვილი** რობერტ ალასარიანს დაუზავდა. **კონსტანტინე შანავამ** ხაჩატურ მესროპიანს აჯობა, **სოფიკო გურამიშვილმა** დიდოსტატ ავეტიკ გრიგორიანთან, **გაიოზ ნიგალიძემ** კი სედრაქ მათევოსიანთან წააგო.

ოთხი ტურის შემდეგ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: ლომსაძე-2, მალალაშვილი, არუთინიანი-1,5-1,5, შანავა-1, გურამიშვილი, ნიგალიძე-0,5-0,5 ქულა.

დღეს მე-3 ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: დავით ლომსაძე-დავით პეტროსიანი, სურენ პოღოსიანი-დავიდ შაჰინიანი.

ჩოგბურთი

## საკვალიფიკაციო ვერ დაძლია

ქართველმა ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** ამჯერად ბრიტანულ ისტბორნში ბალახისსაფარიან კორტებზე საერთაშორისო ტურნირ AEGON International-ში (საპრიზო ფონდი 637.000 დოლარი) მოსინჯა ძალები. ჩვენებური საკვალიფიკაციო ბადეში მე-2 ნომრად განთესეს. სტარტზე იგი კანადელ **სტეფანი დიუბუას** დაუპირისპირდა. ანამ პირველი ხელი 6:4 მოიგო. მეორეში მას შემდეგ, რაც მეტოქე 4:0 დაწინაურდა, ტატიშვილმა გარკვეულწილად გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ სეტის საბოლოოდ გადარჩენა მაინც ვერ შეძლო - 5:7. მესამე ხელი ანამ თითქმის უბრძოლველად დათმო - 1:6 და მხოლოდ ერთადერთი სარეიტინგო ქულას გამორჩა.

**ვაჟა დანელია**

პერსპექტივა

# შენგელია NBA-ს კიდევ უფრო მიუახლოვდა

**28 ივნისს მნიშვნელოვანი საკალათბურთო დღეა - NBA-ს კლუბები დრაფტზე ახალგაზრდა მოთამაშეებს აირჩევენ. თითო გუნდს ორის აყვანის უფლება აქვს, ამიტომ დრაფტი ორ წრედ იყოფა. რადგან ამერიკის საკალათბურთო ასოციაციაში 30 გუნდია, 60-მდე მოთამაშეს აირჩევენ, რომელთა შორის 20 წლის ქართველი თორნიკე შენგელიაც უნდა იყოს. მას ტრევიზოს კემპამდე ოკეანისგაღმელი ექსპერტები დრაფტის მეორე წრის მეორე ნახევარში არჩევას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ იტალიაში შენგელიამ თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა და მისი ფასიც ერთი-ორად გაიზარდა - პირველ წრეს მიუახლოვდა.**

### 34-ედ კლივლენდში

აი, რას წერს ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა:

„კლივლენდ კავალიერსს“ დრაფტზე 34-ე ნომრად არჩევის უფლება აქვს, რასაც სავარაუდოდ თორნიკე შენგელიას აყვანისთვის გამოიყენებს. მას კარგი შეტევითი ალღო აქვს და სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში. თუ ყველაფერი ჩვენი ვარაუდის მიხედვით წარიმართა, ქართველი ფორვარდი დრაფტზე არჩევის შემდეგ ერთ წელს ისევ ევროპაში გაატარებს და ამის შემდეგ მიაშურებს NBA-ს.“

### რამდენად გაიზარდა შენგელიას ფასი წარმატებული ევროკემპის შემდეგ?

ქვესათაურში მოყვანილი კითხვა გამოცემა SBnation-ის ჟურნალისტის **ვენდელ მაქსის** სტატიას ახლავს. როგორც მიხვდით, პუბლიკაცია მთლიანად შენგელიას ეხება. მოდით, ქართულ თარგმანში ვნახოთ, რას წერს ბატონი ვენდელი.

„ტრევიზოში სამდღიანი კემპი გაიმართა. იტალიაში მის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავედი, რათა კარგად გავცნობოდი ატმოსფეროსა და დრაფტის კანდიდატებს. გასაგები მიზეზების გამო (პირველ წრეში არჩევის კანდიდატია) ფრანგ **ევან ფურნიეზე** ვიყავი კონცენტრირებული. ტრავმის მოშუშების შემდეგ ტრევიზოს კემპი ფურნიესთვის შესაძლებლობების დემონსტრირების კარგი სარბიელი უნდა ყოფილიყო.

თუმცა იტალიაში დამხვდნენ არანაკლებ საინტერესო კალათბურთელები, რომლებიც NBA-ს დრაფტის მეორე წრეში არჩევის კანდიდატებად ითვლებიან. ზოგიერთმა კემპზე დამაჯერებელი თამაშით არაერთი სკაუტი მოხიბლა. მაგალითისთვის გამოდგება თორნიკე შენგელია, 207 სმ სიმაღლის ცენტრი საქართველოს რესპუბლიკიდან, რომელიც გასულ სეზონში ბელგიური „შარლერუას“ ღირსებას იცავდა.

მისი აგენტის, **ლევან მიქელაძის** თქმით, ევროკემპზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ დრაფტიდან შენგელიას კანდიდატურის მოხსნას არ აპირებენ. მართებული გადაწყვეტილებაა.

ახალგაზრდა ქართველი ევროლიგაზე საშუალოდ 7.6 ქულასა და 3.8 მოხსნას აგროვებდა; ბელგიის ჩემპიონატში - 8.8 ქულასა და 4.8 მოხსნას; ხოლო ახლახან დასრულებულ ტრევიზოს კემპზე - 14.3 ქულასა და 5.4 მოხსნას. იგი იტალიაში თამაშიდან ტყორცნების 59 პროცენტს იყენებდა (42-დან 25).

შენგელია ტანმაღალი, მრავალმხრივი ფორვარდია, აქვს საქართველოს ნაკრებსა და ევროლიგაზე თამაშის გამოცდილება, კარგად აკონტროლებს ბურთს, შედეგიანია ახლო მანძილიდან ტყორცნებისას. ასევე იოლად შეუძლია თავისუფალი პარტნიორის მოძებნა, რაშიც ევროკემპის მსვლელობისას არაერთხელ დავრწმუნდი.

საინტერესოა, ასეთი მონაცემების კალათბურთელს NBA-ს დრაფტზე რომელ ნომრად აირჩევენ? ზოგიერთი გამოცემა მის მეორე წრის შუასა და ბოლოში აყვანას ვარაუდობს. მაგალითად „დრაფტექსპრესის“ ვერსიით შენგელიას ან „დეტროიტ პისტონსი“ 44-ნომრად აიყვანს, ან „დალას მავერიქსი“ - 55 ნომრად. მაგრამ ევროკემპის წყალობით, ეს რიცხვები შესაძლოა, საგრძნობლად შემცირდეს.

შენგელია ტრევიზოში საუკეთესო მძიმე ფორვარდი იყო, თუმცა ზოგჯერ მსუბუქი თავდამსხმელის პოზიციაზეც ირჯებოდა და სკაუტებს კარგად დაანახა, რომ მხოლოდ ერთ პოზიციაზე თამაში არ შეუძლია. ზოგიერთი სპეციალისტი შესაძლოა, სკეპტიკურად უყურებდეს შენგელიას შანსებს NBA-ს ჩამგდები ფორვარდების წინააღმდეგ დაცვაში თამაშისას. ამ კომპონენტში მას სამუშაო აქვს, თუმცა არ შეიძლება მის დაცვით შესაძლებლობებზე უარყოფით კონტექსტში ლაპარაკი. ქართველი თავდამსხმელი ხომ ჯერ 20 წლისაა. მას საკმარისი სისწრაფე აქვს, რათა მეტოქეებს არ ჩამორჩეს, დაფარებებიც ეხერხება. მოდით საპირისპირო მხრიდანაც შევხედოთ: NBA-ს მძიმე ფორვარდები რამდენად იოლად შეძლებენ შენგელიას განეიტრალებას? დღესვე შეიძლება ითქვას, რომ მისი შეჩერება იოლი არავისთვის იქნება, თამაშის აგრესიული მანერის, სისწრაფისა და სიმაღლის წყალობით.

თუ (ან როცა) თორნიკე შენგელიას გვარს 28 ივნისის დრაფტზე ხმამაღლა გამოაცხადებენ, იგი ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მძიმე ფორვარდი იქნება.

შენგელია ამერიკაში ჩამოდის (NBA-ს კლუბებთან სამუშაოდ). მისი მიზანი იქნება: შეტევა, შეტევა, შეტევა!

აი, რა დაეხმარა მას (ტრევიზოს კემპზე) ფასის აწევაში.“






### კემპის საუკეთესო მომენტთაგანი - შენგელიას ჩატენვა

კემპის შემდეგ გამოცემა „დრაფტნეტზე“ რამდენიმე კალათბურთელის დახასიათება გამოქვეყნდა. ცხადია, ჩვენს მკითხველს ასეთი ავტორიტეტული საიტის ჟურნალისტთა (რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ სკაუტებთან) მოსაზრებაც დააინტერესებს:

„თორნიკე შენგელია ევროკემპზე ყველაზე ათლეტური კალათბურთელი იყო. იგი მაღალიცაა და ენერგიულიც. 207 სმ სიმაღლის ფორვარდის კვალობაზე შენგელია ბურთს საოცრად კარგად აკონტროლებს და ძალიან სწრაფია დრიბლინგისას.

კემპზე შენგელიას რამდენიმე ჩატენვა საუკეთესო მომენტთა შორის იყო. განსაკუთრებით ერთი დაამახსოვრდებოდა დამსწრე საზოგადოებას: ორი ხელით ბურთის ჩატენვა მეტოქის თავსზემოთ. მისი აქილევსის ქუსლი სროლაა. სადღეისოდ, ქართველი ფორვარდის პლუსი ენერგიულობა და ათლეტურობა უფროა, ვიდრე სროლის სიზუსტე...“

### დაბოლოს

- თორნიკე შენგელია ამერიკაში უნდა ჩამოვიდეს. იგი ამჟამად ბელგიაშია და ამერიკის ვიზას ელის. ამ კვირაში შენგელია ამერიკაში გაფრინდება და 28 ივნისს დაგეგმილ დრაფტსაც დაესწრება. როგორც თორნიკეს აგენტმა ლევან მიქელაძემ გვითხრა, NBA-ს კლუბებისგან დაინტერესებები არის, თუმცა დრაფტის შედეგების წინასწარ განსაზღვრა ძნელია - აღნიშნავს ჟურნალისტი ვენდელ მაქსი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ნაკრები

# ამერიკამ რევანში აიღო

**აშშ-საქართველო 36:20**

აშშ(15-9) ვაილზი, ჰიუმი, ემერიკი (ჰოლი 43), ე. სუნიულა, პატერსონი, რ. სუნიულა (ჰოულდერი 78), პეტრი (დევისი 78). (1-9) პტმანი, ბილერი (ესზანი 72), ფრეი (ლიუფაუ 75), სთენფილი, დოილი, მოქეითი (დურუთალო 48), ლავალა, კლევერი.
4ლ: ე. სუნიულა, მოქეითი, პეტრი, პატერსონი. 2გ4ს: ვაილზი.
საქართველო(15-9) ხმალაძე, მაჩხანელი, კაჭარავა, შარიქაძე, თოდუა (ყიასაშვილი 52), კვირიკაშვილი (მალალურაძე 45), აბუსერიძე (ბეგაძე 72). (1-8) ნარიაშვილი (მირცხულავა 72), ბელქანია (მამუკაშვილი 58), ზირაქაშვილი, ბინაძე, ვ. მაისურაძე (ზ. მაისურაძე 41), ლაბაძე, ბერიშვილი (თხილაიშვილი 51), ჩხაიძე.
3ლ: კვირიკაშვილი, შარიქაძე, კაჭარავა. ს: კვირიკაშვილი გ: მალალურაძე.
სინბინი: ზ. მაისურაძე, ბერიშვილი.
მსაჯი: მარიუს იონკერი (სამ.აფრიკა)

საქართველოს ნაკრებმა ივნისის ტესტების პირველი მატჩი კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან გამართა და 20:36 დამარცხდა.

უკვე ვწერდით, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი ჩრდილოეთ ამერიკაში საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობით გაემგზავრა. ტრავმების გამო ნაკრებს დააკლდნენ **გიორგი შკინინი** (არმია), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **ვასილ კაკოვინი** (ტულუზი), **ანტონ ფეიქრიშვილი** (კასტრი), **ჯაბა ბრეგვაძე** (ტულუზი) და **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი).

საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, რთული სეზონის შემდეგ ისვენებენ: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ბრივი), **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) და **გიორგი ნემსაძე** (ტარბი), **ბექა შეყლაშვილი** (აჟენი).

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ „ბორჯღალოსნებს" მაინც უკეთესი შედეგი უნდა ეჩვენებინა. თუ დანაკლისს კიდევ ერთხელ თვალს შევავლებთ, შენიშნავთ, რომ მათ შორის ერთი უკანახაზელია, **გიორგი შკინინი**. ამდენად, ჩრდილოამერიკულ ტურნეზე ჩვენი ნაკრები, ფაქტობრივად, უკანა ხაზში ძირითადი შემადგენლობითაა წარმოდგენილი.

თუმცა ჩვენი გუნდის უკანახაზელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამიდან სამივე ლელო მათ ანგარიშზეა. თამაში „ბორჯღალოსნებმა" თავიდანვე ვერ აანყვეს. მორაგბეები მოედანზე ნელა, მძიმედ გადაადგილდებოდნენ. მასპინძლებმა საკმაოდ აგრესიულად შემოგვიტიეს და მესამე წუთზე საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. ანგარიში ფულბეკმა **ქრის ვაილზმა** გახსნა - 3:0.

იმთავითვე ნათელი გახდა, რომ დაცვაში თამაში ჩვენს მორაგბეებს ძალიან გაუჭირდებოდათ. „არწივები" ამ შეხვედრისთვის სერიოზულად ემზადებდნენ და მატჩს მოუთმენლად ელოდნენ, რათა ორი წლის წინათ თბილისში განცდილი მარცხის გამო რევანში აელოთ. პირველი ლელო ამერიკელებმა მე-9 წუთზე გაგვიტანეს, რომელიც ჩვენი მორაგბეების შეცდომების ჯაჭვის შედეგი იყო.

საკუთარი ჩათვლის მოედნიდან ათიოდ მეტრში დერეფანში ბურთი ქართველ მორაგბეებს უნდა აეგდოთ, თუმცა წესი დაარღვიეს და აუტის მოწოდების უფლება ამერიკელებს გადაეცათ. „არწივებმა" დერეფნიდან მოლის აგორება სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაათამაშეს. „ბორჯღალოსნებმა" მეტოქე იქაც შეაჩერეს, მასპინძლებმა ახლა ბურთი ისევ მარჯვნივ გამოათამაშეს და შუამარბი **ენდრიუ სუნიულა** ჯერ მესამეხაზელ **გიორგი ჩხაიძეს** დაუსხლტა ხელიდან, მერე კი მეორეხაზელმა **ვახტანგ მაისურაძემ** და ფულბეკმა **ლაშა ხმალაძემ** ერთობლივად ვერ შეძლეს მისი შეჩერება. ქრის ვაილზმა ვერ გარდასახა - 8:0.

საპასუხო ლელოს გატანა ჩვენმა მორაგბეებმა ათ წუთში შეძლეს. მეტოქის მიერ საკუთარი ნახევრიდან ფეხით დაკიდებულ ბურთს შუამარბი **დავით კაჭარავა** მოედნის ცენტრში დაეუფლა და შეუტია. წარმოქმნილი რაკიდან ცხრა ნომერმა **ირაკლი აბუსერიძემ** შეტევა მარჯვნივ განაგრძო, აქ მგეზავმა **მერაბ კვირიკაშვილმა** შეტევაში პირველხაზელი **დავით ზირაქაშვილი** ჩართო. ისევ რაკი და „აბუმ" ისევ მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე გარემარბ **ირაკლი მაჩხანელს** გადააწოდა, რომელმაც გარღვევაზე კიდევ ერთი გარემარბი **ალექსანდრე თოდუა** გაიყვანა, მან 25-30 მეტრი გაირბინა და ის იყო უნდა შეებოჭათ, რომ იქვე მიმყოლ კვირიკაშვილს გაატანა ბურთი, რომელმაც ლელო გვერდით ხაზთან ახლოს გაიტანა, მანვე გარდასახვა ვერ გამოიყენა - 5:8.

ამის შემდეგ ინიციატივა მასპინძლების ხელში გადავიდა. მათ ტაიმის ბოლომდე კიდევ ორი ლელო და ორი საჯარიმო გაგვიტანეს, რაზეც ჩვენმა გუნდმა მხოლოდ კვირიკაშვილის ერთი საჯარიმოთი უპასუხა - 8:28. თანაც, პირველი ნახევრის მიწურულს სამხრეთ აფრიკელმა რეფერიმ საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **გივი ბერიშვილი** გაასინბინა და მეორე ტაიმის საწყისი ათი წუთი ჩვენი გუნდი კაცნაკლული დარჩა.

შესვენების შემდეგ ოცქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას, რაც ნებისმიერ მეტოქესთან თამაშში ურთულესი საქმეა, „ბორჯღალოსნები," მართალია, შეეცადნენ, მაგრამ, მაქსიმუმი რისი მოხერხებაც შეძლეს, ანგარიშის თერთმეტ ქულამდე შემცირებაა.

მეორე ნახევარი საქართველოს ნაკრებმა უკეთ ითამაშა და 12:8 მოიგო, თუმცა საბოლოოდ წარმატებისთვის ეს, ცხადია, საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩვენმა მორაგბეებმა მეორე ლელო 54-ე წუთზე გაიტანეს. მარჯვენა ფრთაზე, მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში, მორკინალების მიძალებისას ამერიკელები დაჯარიმდნენ. აბუსერიძემ საჯარიმო სწრაფად გაათამაშა და ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანა, აქ ჯერ ვახტანგ მაისურაძემ შეუტია, მერე „აბუმ" რაკიდან უფრო მარჯვნივ შერკინების კვაჭი **რეზო ბელქანია** ჩართო შეტევაში. ისიც შეაჩერეს. აბუსერიძემ შეტევის მიმართულება არ შეცვალა და ამჯერად კიდევ უფრო მარჯვნივ, კიდისკენ შუამარბ **მერაბ შარიქაძეს** გადააწოდა, რომელიც ამერიკელთა ლელოში შეიჭრა. შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ლაშა მალალურაძემ** ვერ გარდასახა - 13:28.

ამაზე მასპინძლებმა კიდევ ერთი ზუსტი საჯარიმოთი გვიპასუხეს - 31:13. 63-ე წუთზე კი ქართველმა მორაგბეებმა მესამე ლელო მიითვალეს. ბურთი მოედნის ცენტრიდან მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ მალალურაძემ ფეხით შეაცურა. შარიქაძე და კაჭარავა ამერიკელთა ფულბეკს თავს დაესხნენ, ბურთი აართვეს და შეტევაში შეცვლაზე შესული **ირაკლი ყიასაშვილი** ჩართეს. ის მოწინააღმდეგემ იქვე შებოჭა, მერე ბურთი ზირაქაშვილმა აიტაცა და ის ლელოს ხაზამდე ერთ მეტრში შეაჩერეს. რაკიდან ბურთი კაჭარავამ აიღო და ჩათვლის მოედანში გადადო. მალალურაძემ გარდასახვა ამჯერად ზუსტად დაარტყა - 20:31.

თამაშის დასრულებამდე 17 წუთი რჩებოდა. 11-ქულიანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ეს საკმარისი დროა. თუმცა ჩვენმა მორაგბეებმა მონაგარს ველარაფერი შემატეს. მეტიც, შეცვლაზე შესული **ზვიად მაისურაძე** არბიტრმა გაასინბინა. „არწივებმა" ამით ისარგებლეს და კიდევ ერთი, მეოთხე ლელო მიითვალეს - 36:20.

მატჩის შემდეგ, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტს **ილია ზედგინიძეს** დენვერში დავუკავშირდით:

*„მწვრთნელთა შტაბმა მატჩის ვიდეოანალიზი მატჩის დასრულების შემდეგ მალევე გავაკეთეთ და ვნახეთ, რომ გუნდმა ორივე ტაიმში ერთმანეთისაგან განსხვავებული თამაში აჩვენა. პირველ ნახევარში ძალიან ცუდად გამოვიყურებოდით, მეორე შედარებით უკეთესი იყო.*

*ბიჭებთან საუბრის მერე დავადგინეთ, რომ აკლიმატიზაცია და ძალების აღდგენა ვერ მოახერხეს. ფიზიკურად როცა არ შეგიძლია, აღარც ტაქტიკური მონახაზის შესრულება გამოგდის და არც დაცვა-შეტევის ორგანიზება. ჩვენი სათამაშო სქემა დაახლოებით 40 პროცენტით შესრულდა.*

*თამაშის წინ მორაგბეებს ასეთი დავალება მივეცით. უნდა მოგვეხერხებინა მოედნის მთელი სიგანის გამოყენება. მორკინალებს მოკლე დარტყმები ახლოახლო და ერთი და იმავე მიმართულებით უნდა განეხორციელებინათ. თამაში ძირითადად მეტოქის მოედანზე უნდა გადაგვეტანა და როცა საჭიროება მოითხოვდა, ბურთი აუტში გადაგვეგდო, რათა ამერიკელებს კონტრიერიში არ წამოეწყოთ.*

*ამასთან ერთად, შერკინებას მეტოქისთვის მაქსიმალურად უნდა შეექმნა პრობლემები. დერეფანში მოედნის ჩვენს ნახევარზე პირველი და მეორე ზონა უნდა გადაგვეკეტა, მეტოქის ნახევარზე კი - მეორე და მესამე.*

*კანადის ნაკრებთან თამაში ერთი კვირის თავზეა და იმედი გვაქვს, რომ ფიზიკური კონდიციებით უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებით. ვანკუვერი ზღვის დონიდან ისე მაღლა არ არის, როგორც დენვერი.*

*შემადგენლობაში, ცხადია, ცვლილებები იქნება. მერაბ შარიქაძე სოლტ ლეიკ სიტიში გაემგზავრება, სადაც ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე იასპარეზებს. ვანკუვერში დაგვემატება მესამეხაზელი შალვა სუთიაშვილი. მიკროტრავმები აწუხებთ ზვიად მაისურაძესა და ლაშა მალალურაძეს, თუმცა, ვფიქრობ, სერიოზული არაფერია.*

*ტურნეში 28 მორაგბე გვყავს და ვეცდებით, ყველას მივცეთ თავის გამოჩენის შანსი. ამერიკელებთან თამაშით კმაყოფილნი იმით ვართ, რომ სათადარიგოთა სკამიდან შეხვედრაში ჩართულმა ყველა მორაგბემ გუნდის გაძლიერება შეძლო, ყველამ რაღაც დადებითი შემატა და ამასაც, ცხადია, კანადელებთან მატჩისთვის გავითვალისწინებთ".*

**სხვა მატჩები**

**კანადა-იტალია 16:25, არგენტინა-საფრანგეთი 23:20, სამხრეთ აფრიკა-ინგლისი 36:27, ავსტრალია-უელსი 25:23, ახალი ზელანდია-ირლანდია 22:19, ფიჯი-შოტლანდია 16:25.**



აშშ-საქართველო

შვიდკაცა რაგბი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს მთავარი მწვრთნელი
ლევან მაისაშვილი

# პირველი ეტაპი ლელოსია

შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი, რომელიც „შევარდენის მორაგბეთა სანაკრებო ბაზაზე" გაიმართა, თბილისის „ლელოს" დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა.

შეჯიბრებაში საქართველოს 12 კლუბი ასპარეზობს, აქედან ხუთი სხვადასხვა რეგიონიდანაა. ესენია: „ბათუმი", ოზურგეთის „არწივები", ფოთის "რაინდები", ქუთაისური გუნდები „აია" და „ბაგრატი".

ლელოელებმა ჯგუფური ტურნირი უპრობლემოდ გადალახეს, თითქმის ყველა მეტოქეს იოლად სძლიეს. ტურნირის გამარჯვებულს დიდად არც პლეიოფში გასჭირვებია. „ლელომ" ნახევარფინალში ქუთაისის „აიას" 33:7 მოუგო, ფინალში კი თბილისის „აკადემია" დაამარცხა 27:12.

პირველი ეტაპის მესამეადგილოსნის ვინაობა ქუთათურთა დავაში გაირკვა. უმაღლესლიგელმა „აიამ" თანაქალაქელ, პირველლიგელ „ბაგრატს" 12:5 მოუგო.

შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი მომდევნო უქმეებზე გაიმართება.

**A ჯგუფი**

**რაინდები-ჯიქები 0:40, ხულიგანა-ლელო 0:21, ბათუმი-აკადემია 0:28, ლელო-ჯიქები 28:7, რაინდები-აკადემია 7:33, ბათუმი-ხულიგანა 36:0, აკადემია-ჯიქები 17:0, ბათუმი-ლელო 7:33, ხულიგანა-რაინდები 19:5, ლელო-აკადემია 24:7, ხულიგანა-ჯიქები 7:14, ბათუმი-რაინდები 38:0, ხულიგანა-აკადემია 17:14, რაინდები-ლელო 0:59, ბათუმი-ჯიქები 26:5.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლელო - 10 ქულა, 2. აკადემია - 6, 3. ბათუმი - 6, 4. ჯიქები - 4, 5. ხულიგანა - 4, 6. რაინდები - 0.

**B ჯგუფი**

**ბაგრატი-არმაზი 28:17, ყოჩები-აია 7:29, ლოკომოტივი-არწივები 49:0, აია-არმაზი 21:19, ბაგრატი-არწივები 43:7, ლოკომოტივი-ყოჩები 14:14, არწივები-არმაზი 14:19, ლოკომოტივი-აია 14:17, აია-არწივები 21:7, ლოკომოტივი-ბაგრატი 28:15, ყოჩები-ბაგრატი 15:21. ყოჩები-არმაზი 19:12, ბაგრატი-აია 19:14, ყოჩები-არწივები 29:7, ლოკომოტივი-არმაზი 17:7.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბაგრატი - 8 ქულა, 2. აია - 8, 3. ლოკომოტივი - 7, 4. ყოჩები - 5, 5. არმაზი - 2, 6. არწივები - 0.

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| ლელო-აია | 33:7 |
| აკადემია-ბაგრატი | 24:7 |

**III ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| აია-ბაგრატი | 12:5 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ლელო-აკადემია | 27:12 |

**საბოლოო მდგომარეობა**

1. ლელო, 2. აკადემია, 3. აია, 4. ბაგრატი, 5. ლოკომოტივი, 6. ბათუმი, 7. ჯიქები, 8. ყოჩები, 9. ხულიგანა, 10. არმაზი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ოლიმპიზმი



# ბილეთების სკანდალი: ნაწილი მეორე

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გუშინ გამოაცხადა ოფიციალური გამოძიების დაწყების შესახებ, რომელიც ლონდონის ოლიმპიური თამაშების ბილეთების არალეგალურ გაყიდვას შეეხება.

ასე გამოეხმაურა კომიტეტი გაზეთ „სანდი თაიმსის" ჟურნალისტურ გამოძიებას. მათ ახლო აღმოსავლეთიდან ბილეთების გადამყიდველებად გაასაღეს თავი და კონტაქტზე გავიდნენ სოკ-ის წევრებზე.

როგორც „სანდი თაიმსის" პუბლიკაციიდან ჩანს, ჟურნალისტები მოელაპარაკნენ ბილეთების შეძენაზე 54 ქვეყნის სპორტულ ჩინოვნიკებს. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში ფუნქციონერების მიერ დასახელებული ფასი ბილეთებზე ნომინალურ ღირებულებას ათჯერ აღემატებოდა.

ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურ შეტყობინებაში წერია, რომ ორგანიზაცია მისი მისამართით წამოყენებულ ბრალდებებს „ძალიან სერიოზულად" ეკიდება და „სანდი თაიმსის" ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, ექვმიტანილი ეროვნული კომიტეტების მიმართ მკაცრი სანქციები გატარდება.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გავლით თამაშების ორგანიზატორები მილიონობით ბილეთს ასაღებენ. ამასთან, რეალიზაცია მკაცრი წესებით ხდება, კერძოდ, ბილეთები ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნაში, რომლისთვისაც არის განკუთვნილი და მისი ფასი ნომინალურ ღირებულებას არ უნდა აღემატებოდეს.

2012 წლის მაისში, ანალოგიური სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი **ვლადიმერ გერაშჩენკო**. ჩინოვნიკი, რომელიც BBC-ის ჟურნალისტებმა ასზე მეტი ბილეთის რამდენიმე ათას ფუნტად გასაღებაში ამხილეს, იძულებული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა.

ამბები

კალათბურთი

## დრაფტის მეორე ნომერი ჰარდენის ნაცვლად

„შარლოტ ბობკეტსის" ხელმძღვანელობა აპირებს შეელიოს 2012 წლის დრაფტზე მეორე ნომრის არჩევის უფლებას. უფრო სწორედ, ის ამ უფლებას სთავაზობს NBA-ის წლევანდელ ფინალისტს „ოკლაჰომას", სანაცვლოდ კი ამ კლუბისგან **ჯეიმს ჰარდენს** ითხოვს, რომელიც ამ სეზონში „საუკეთესო მეექვსე მოთამაშის" პრიზის მფლობელი გახდა.

წლევანდელ რეგულარულში ჰარდენმა 62 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 16.8 ქულით, 4.1 მოხსნითა და 3.7 შედეგიანი პასით დაასრულა ჩემპიონატი.

## სლოუნი პორტლენდს მოუნდა

„იუტა ჯაზის" ყოფილი მწვრთნელი **ჯერი სლოუნი** „პორტლენდის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად განიხილება, - წერს ამერიკული პრესა. რამდენიმე დღის წინ, ვეტერანმა მწვრთნელმა უარი განაცხადა „შარლოტის" გაწვრთნაზე.

„ბლეიზერსის" ხელმძღვანელობამ ახალი მწვრთნელის ძებნა მარტის შუა რიცხვებიდან დაიწყო, როცა თანამდებობიდან დაითხოვეს **ნეიტ მაკმილანი**.

შეგახსენებთ, რომ სლოუნი „იუტას" 23 წლის განმავლობაში ავარჯიშებდა და ეს გუნდი 2011 წელს დატოვა.

## ბასმა ბოსტონი ბოსტონისთვის დატოვა

„ბოსტონის" ფორვარდის **ბრენდონ ბასის** აგენტმა CNN-ს აცნობა, რომ მისმა კლიენტმა გადაწყვიტა არ გამოიყენოს მიმდინარე კონტრაქტში არსებული პუნქტი, რომელიც ხელშეკრულების ერთი წლით ავტომატურად გახანგრძლივების საშუალებას იძლეოდა. აგენტის თქმით, ეს გადაწყვეტილება იმით არის განპირობებული, რომ ბასს „სელტიქსთან" მრავალწლიანი ხელშეკრულების გაფორმება სურს, რადგან ეს კლუბი მისთვის პრიორიტეტულია. წინა კონტრაქტის თანახმად, ბრენდონი წელიწადში 4.25 მილიონ დოლარს იღებდა.

რეგულარულის 59 მატჩში ბასმა საშუალო 12.5 ქულა და 6.9 მოხსნა მიითვალა. პლეი ოფში 27 წლის მოთამაშის სტატისტიკა უფრო უარესია - 11.1 ქულა და 5.3 მოხსნა.

## დევისს კინოში იღებენ

„ნიუ იორკ ნიქსის" ვეტერანმა გამთამაშებელმა **ბაირონ დევისმა** კინოში გადაღება გადაწყვიტა. კალათბურთელმა სკოლის გუნდის მწვრთნელის როლი მიიღო **ადამ სენდლერის** ახალი ფილმში.

დევისი მესამე კალათბურთელია „ნიქსში", რომელიც კინოში ცდის ბედს. ადრე ანალოგიური გამოცდილება ჰქონდათ **კარმელო ენტონისა** და **ამარე სტაუდმაიერს**.

ჩოგბურთი

## ექვსი თვე საათის ქურდობისთვის

ერთ-ერთი პარიზული სასტუმროს ბარმენს, რომელმაც მსოფლიოს მეორე ჩოგანს **რაფაელ ნადალს** საათი მოპარა, ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

შეგახსენებთ, რომ როლან გაროსის ფინალის წინ, საათების მწარმოებელმა ცნობილმა შვეიცარიულმა ბრენდმა Richard Mille-მ სარეკლამო მიზნებით ჩოგბურთელს 300 ათასი ევროს ღირებულების საათი გადასცა. საღამოს, ტურნირის მოგების შემდეგ, ნადალმა საათი საკუთარ ნომერში დატოვა, ბარმენმა კი გასაღებით ისარგებლა და საათი მოიპარა. ამის შემდეგ პოლიციამ ეჭვმიტანილი დააკავა და მან აღიარა დანაშაული.

*„ამ საათს უნდა შეეცვალა ჩემი ცხოვრება. მინდოდა ჩემთვის წარმატება მოეტანა - მას ხომ თვით ნადალი ატარებდა"*, - ასე ახსნა სასამართლოზე თავისი საქციელის მიზეზი ბარმენმა.

კალათბურთი. ევროპული ამბები

# ოთხთა ფინალი არ იქნება

## ბარსა ჩემპიონია, რუსეთმა საბერძნეთთან წააგო, ოლიმპიაკოსი უმწვრთნელოდ დარჩა

საინტერესო გადაწყვეტილება მიიღეს შაბათს ევროპული კალათბურთის ხელმძღვანელებმა. კერძოდ, შეიცვალა რანგით მეორე ევროტურნირის - ევროთასის გათამაშების ფორმატი.

2013-14 წლების სეზონიდან მოყოლებული, ძირითად ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 32 გუნდი. აქედან 25 პირდაპირ მოხვდება ჯგუფურ ეტაპზე, დარჩენილ შვიდ ვაკანსიას კი ევროლიგის საკვალიფიკაციოში წაგებული გუნდები მოიპოვებენ.

მთავარი სიახლე შემდეგში მდგომარეობს - „ოთხთა ფინალი" აღარ გაიმართება. ამის ნაცვლად, გუნდები ნახევარფინალურ ეტაპზე ორმატჩიან დუელში (შინ და გარეთ) გაარკვევენ ფინალისტების ვინაობას. ფინალი კი ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე ესპანეთში გამოვლინდა ქვეყნის ჩემპიონი. თავისი არსებობის ისტორიაში მეჩვიდმეტედ მოიპოვა ტიტული „ბარსელონამ", რომელმაც ფინალურ სერიაში 3:2 დაამარცხა მადრიდის „რეალი".

მეხუთე შეხვედრა „ბარსელონას" მოედანზე გაიმართა და მასპინძლებმა ოთხი ქულის სხვაობით - 73:69 იმარჯვეს.

მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო კატალონელთა ამერიკელი ლეგიონერი **პიტ მიკელი**, რომელმაც 17 ქულა დააგროვა და ამას 9 მოხსნა დაუმატა.

■ ■ ■

ლონდონის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირზე მოსახვედრად სამი საგზურია გასათამაშებელი და ამისთვის ივლისში, ვენესუელაში საკვალიფიკაციო ტურნირი გაიმართება.

პრეტენდენტებმა უკვე დაიწყეს მზადება ამ ტურნირისთვის და პირველი ამხანაგური მატჩებიც გამართეს. საინტერესო შეხვედრა შედგა საბერძნეთსა და რუსეთს შორის. პირველ მეოთხედში რუსების მცირე უპირატესობის შემდეგ, ბერძნებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, ბოლო მეოთხედის წინ 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს და საბოლოოდ, შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება - 66:63.

მეორე ამხანაგურ მატჩში მაკედონიის ნაკრებმა 78:74 დაამარცხა საკვალიფიკაციოს ერთ-ერთი ფავორიტი - ლიტვა.

■ ■ ■

ფანტასტიკური სეზონის მიუხედავად, ბერძნული გრანდის - „ოლიმპიაკოსის" დატოვება გადაწყვიტა ცნობილმა სერბმა სპეციალისტმა **დუშან ივკოვიჩმა**. მან კლუბის ხელმძღვანელობას აცნობა, რომ აღარ სურს ორი თანამდებობის შეთავსება და მხოლოდ სერბეთის ნაკრებში გააგრძელებს მუშაობას.

შეგახსენებთ, რომ 2011-12 წლების სეზონში „ოლიმპიაკოსმა" ევროლიგა მოიგო, შემდეგ კი საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში თავის უპრინციპულეს მეტოქეს - „პანათინაიკოსს" აჯობა.


ბარსამ რეალს მოუგო

NBA-ის ამბები

# ჯექსონი დაბრუნებაზე ფიქრობს

## კარიერის გაგრძელებას ბრენდონ როიც არ გამორიცხავს

ლეგენდარულმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა**, რომელსაც „ჩიკაგოსა" და „ლეიკერსის" დამრიგებლის რანგში 11 საჩემპიონო ბეჭედი აქვს მოპოვებული, შესაძლოა, NBA-ში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღოს. ამერიკულ პრესაში ვრცელდება ჭორები იმის შესახებ, რომ „დიდმა ფილმა" „ნიუ იორკისგან" და „ორლანდოსთან" მიიღო შეთავაზებები, თუმცა თავად მწვრთნელი აცხადებს, რომ ეს ორი წინადადება მას არ აინტერესებს.

*„შესაძლოა, რომელიღაც საინტერესო წინადადებამ მაიძულოს ძველ სამუშაოზე დაბრუნება, მაგრამ „ნიუ იორკი" და „ორლანდო" ის ვარიანტი არ არის, რომლის გამოც აქტიურ კარიერას მივუბრუნდები*, - ამბობს Yahoo!Sports-თან ინტერვიუში ჯექსონი. - *„ნიქსიდან" ჩემთვის არავის მოუმართავს და ისედაც, ამ გუნდში მუშაობას არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი. იქ კარგი მოთამაშეები არიან, მაგრამ მათი სათამაშო მანერა არ მიესადაგება ერთმანეთს. სტაუდმაიერისთვის გარკვეული სისტემაა საჭირო, ენტონიმ უნდა გააუმჯობესოს პასის კულტურა. შეტევა არ უნდა გაჩერდეს ყოველ ჯერზე, როცა ის ბურთს იღებს. „ნიუ იორკს" სჭირდება მოთამაშე, რომელიც ცალკეული მოთამაშეებისგან ერთ მთლიან გუნდს შექმნის. რაც შეეხება „ორლანდოს", ის შორს არის თავისი იდეალური მდგომარეობიდან"*.

შეგახსენებთ, რომ ჯექსონმა შარშანწინდელი სეზონის შემდეგ დატოვა „ლეიკერსი" ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

■ ■ ■

კიდევ უფრო დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ „პორტლენდის" ყოფილი ლიდერი **ბრენდონ როი** დიდ კალათბურთს დაუბრუნდება. როგორც იცით, ამ კალათბურთელმა მუხლების ქრონიკული ტრავმის გამო 2011-12 წლების სეზონის წინ გადაწყვიტა თამაშისთვის თავის დანებება. ხუთი სეზონის განმავლობაში როი საშუალოდ მატჩში 19.0 ქულას, 4.3 მოხსნასა და 4.7 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

*„დიახ, ვემზადები დაბრუნებისთვის და ყოველდღე ვვარჯიშობ. მინდა შემდეგ სეზონში ვითამაშო. ძალიან ვაფასებ გულშემატკივრების სიყვარულსა და მხარდაჭერას. ეს ძალიან მეხმარება"*, - დაწერა კალათბურთელმა თავის „ტვიტერზე".


ფილ ჯექსონი

# ტონის თვალი ჩაულურჯეს

„სან ანტონიო სპურსისა" და საფრანგეთის ნაკრების მცველმა **ტონი პარკერმა** თვალი დაიზიანა ნიუ იორკის ერთ-ერთ ღამის კლუბში მომხდარი ჩხუბის დროს, - წერს სააგენტო AP.

როგორც იტყობინებიან, კალათბურთელი მუსიკოს მეგობრებთან - **კრის ბრაუნთან** და **დრეიკთან** ერთად მივიდა კლუბში. საღამოს ჩხუბი ატყდა, რომლის შედეგადაც ფრანგ პლეიმეიკერს სახეში მოხვდა ბოთლის ნამსხვრევი. პარკერს ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია და ის ტრავმა, რომელიც კლუბში ყოფნისას მიიღო, შემთხვევითობის შედეგია.

ექიმების ინფორმაციით, პარკერს გაუმართლა, რომ ცალი თვალით არ დაბრმავდა. ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ერთი კვირის შემდეგ, პარკერი შეძლებს ოლიმპიადისთვის მზადების დაწყებას.


ტონი პარკერი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კრივი

# მეოთხე სერია: პაკიაო-მარკესი

## შენონ ბრიგსმა დაბრუნება და კლიჩკოსთვის ტიტულის ჩამორთმევა გადაწყვიტა



პაკიაო-მარკესი

საკრივო პრესა იტყობინება, რომ წელს შეიძლება გაიმართოს ძველი ნაცნობების - ფილიპინელი **მენი პაკიაოსა** (54-4-2, 38KO) და მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესის** (52-5-1, 38KO) მეოთხე ბრძოლა.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესო კომენტარი გააკეთა ფილიპინელმა მოკრივემ. როცა მას ჰკითხეს: *„ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბრედლისთან რევანში აღარ შედგება?“* პაკიაომ შემდეგი უპასუხა: *„ყველა ამბობს, რომ მე დავამარცხე ბრედლი, მიუხედავად იმისა, რომ მსაჯებს სხვა აზრი ჰქონდათ. მაშინ რა საჭიროა რევანში ტიმოტისთან? ეს არაფერში მჭირდება...“*

■ ■ ■

დიდ სპორტში დაბრუნების შესახებ გამოაცხადა სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, 40 წლის ამერიკელმა **შენონ ბრიქსმა**. დაბრუნების შემდეგ მისი პირველი ბრძოლა მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება.

ბრიგსის კარიერაში ბოლო ბრძოლა იყო WBC-ის ჩემპიონთან **ვიტალი კლიჩკოსთან**, რომლის შემდეგაც შენონი საავადმყოფოში აღმოჩნდა. თუმცა ამერიკელი დარწმუნებულია, რომ დაამარცხებდა უკრაინელს, პირველ რაუნდში ბიცეპსის კუნთი რომ არ გაეწყვიტა.

*„ამ მძიმე ტრავმით 11 რაუნდი გავძელი თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი სუპერმძიმეწონოსნის წინააღმდეგ. თავში 270 დარტყმა მივიღე, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო ჩემი ნოკდაუნში გაშვება, - განაცხადა ბრიგსმა. - მაშინ ვიტალის გაუმართლა. ის მრავალი წლის განმავლობაში გაურბოდა ჩემთან ბრძოლას და მოხარული იყო, რომ ჩემმა ტრავმამ შეუწყო ხელი. მაგრამ ახლა ვბრუნდები. ვაპირებ მას ტიტული ჩამოვართვა და მესამედ გავხდე ჩემპიონი“.*

## ჰოკეი

# ნეშზე დიდი ნადირობაა

„კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის“ ლიდერისა და კაპიტნის - **რიკ ნეშის** თავის რიგებში ხილვა ჰოკეის ეროვნული ლიგის მინიმუმ შვიდ კლუბს სურს. ამასთან დაკავშირებით, ბოლო ათი დღის განმავლობაში „ბლუ ჯეკეტსის“ გენერალურ მენეჯერს **სკოტ ჰოუსონს** უამრავ მოლაპარაკებაში მოუწია ჩართვა.

ზოგიერთ კლუბს ნეშის დამატება თებერვლის სატრანსფერო ბაზრის დროს სურდა, ამჟამად კი ყველაზე რეალურად მოჩანს გარიგება „ნიუ იორკ რეინჯერსთან“. გარდა ამისა, ნეშზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებენ „სან ხოსე“, „ფილადელფია“, „ტორონტო“ და „კაროლინა“. თუმცა მოთხოვნები, რომელსაც „კოლამბუსი“ აყენებს, საკმაოდ მაღალია.

■ ■ ■

შვედი მეკარე **ანდერს ლინდბეკი** „ნეშვილიდან“ „ტამპა ბეიში“ გადავიდა. კლუბებს შორის განხორციელებული ტრეიდის თანახმად, „ნეშვილმა“ ლინდბეკის სანაცვლოდ დრაფტზე სამი არჩევანის უფლება და მეკარე **სებასტიან კარონი** მიიღო. „ტამპამ“ კი შვედის გოლკიპერის ნაცვლად ფორვარდ **კაი უილსონს** გამოჰკრა ხელი.

24 წლის ლინდბეკმა შარშან, პირველი სრულფასოვანი სეზონი ჩაატარა NHL-ში. ფინელი **პეკა რინეს** დუბლიორმა რეგულარულში მხოლოდ 16 მატჩი ჩაატარა, სულ კი მის ანგარიშზე ლიგაში 38 მატჩი მოდის. „ტამპაში“ მან უნდა შეცვალოს ძირითადი მეკარე **დუეინ როლოსონი**, რომელიც ივლისიდან თავისუფალი აგენტების ბაზარზე აპირებს გასვლას.

■ ■ ■

ინგლისელ ნახევარმცველს **დევიდ ბექჰემს** კარიერაში უამრავი თასი აუწევია თავს ზემოთ და ეს ერთგვარი კოლექცია კიდევ ერთი პრიზით შეავსო.



დევიდ ბექჰემი სტენლის თასით

მართალია, „ლოს ანჯელეს გელაქსის“ ფეხბურთელს არანაირი წვლილი არ მიუძღვის „ლოს ანჯელეს კინგზის“ მიერ სტენლის თასის მოპოვებაში, მაგრამ კალიფორნიელმა ჰოკეისტებმა სათანადოდ დააფასეს ის ფაქტი, რომ ბექჰემი ფინალურ სერიაში „კინგზის“ ყველა საშინაო შეხვედრას ესწრებოდა და მხურვალედ გულშემატკივრობდა „მეფეებს“.

# ბატონი ჩემპიონობაზე არ ფიქრობს, მაგრამ არც ნებდება




ჯენსონ ბატონი

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის შვიდი ეტაპის შემდეგ „მაკლარენის“ პილოტი **ჯენსონ ბატონი** მერვე ადგილს იკავებს გენერალურ კლასიფიკაციაში. ბრიტანელი თავის თანაგუნდელსა და თანამემამულეს, პირველ ადგილზე მყოფ **ლუის ჰემილტონს** 43 ქულით ჩამორჩება. ბოლო ორ რბოლაში მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონმა ვერც ერთი ქულა ვერ დააგროვა, მაგრამ ბრძოლის გაგრძელებაზე უარის თქმას არ აპირებს.

*„ჩემპიონატი ჩემთვის დამთავრებულია? არ ვიცი. ვფიქრობ, შევძლებ რამდენიმე კარგი რბოლის ჩატარებას, მაგრამ ამისთვის შექმნილი პრობლემების მოგვარებაა საჭირო.*

*არ მგონია, რომ ტიტულისთვის ბრძოლას მხოლოდ სამი პილოტი შემორჩა. პირად ჩათვლაში ჩემზე წინ შვიდი პილოტია და ისინი შესანიშნავად გამოდიან, ასე რომ, სიტუაცია დაძაბულია. მე დანებებას არ ვაპირებ, თუმცა არ ვფიქრობ საკუთარ მდგომარეობაზე საერთო ჩათვლაში. როცა ისეთ რბოლას ატარებ, როგორიც კანადაში მქონდა, ყველაზე ნაკლებად ფიქრობ ტიტულისთვის ბრძოლაზე. ასეთ დროს მხოლოდ იმაზე ზრუნავ, რომ როგორმე მიმდინარე სირთულეები მოაგვარო და ფორმა დაიბრუნო. მხოლოდ ასე თუ მიიღებ გამარჯვების შანსს“*, - ამბობს ბატონი.

■ ■ ■

„ფერარის“ პრეზიდენტს **ლუკა დე მონტეძემოლოს** „ევროპის წლის მენეჯერის“ ტიტული მიენიჭა. ეს პრიზი ევროპის ბიზნეს-პრესის ფედერაციის მიერ არის დაწესებული.

ეს პრემია 1991 წელს დაარსდა და მისი ყოველწლიური მფლობელი ფედერაციაში შემავალი გამოცემების რედაქტორებს შორის გამოკითხვის შედეგად ვლინდება. ფედერაციის წევრია 27 ქვეყნის 48 წამყვანი გაზეთი და ჟურნალი.

2012 წელს დი მონტეძემოლომ ეს ტიტული დაისაკუთრა იმ სამუშაოს გამო, რომელიც მან „ფერარის“ პრეზიდენტის პოსტზე 20 წლის განმავლობაში ჩაატარა. ასევე დააფასეს მისი სამეწარმეო მოღვაწეობა NTV-ის პრეზიდენტის პოსტზე - ეს არის იტალიაში მატარებლების პირველი კერძო ოპერატორი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ესპანეთი. II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-ალკორკონი | 1:1 |

#### შვედეთი. II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ფალკენბერგი-ტრელებორგი | 2:0 |
| ჰამარბიუ-ლიუნგსკილე | 0:1 |
| ვარბერგსი-უმეა | 2:1 |
| ბრაგე-ბრომაპოიკარნა | 1:2 |
| ვარნამო-ჰალმსტადი | 2:3 |
| ანგელჰოლმი-დეგერფორსი | 2:0 |
| ასირისკა-იონჩოპინგი | 4:1 |
| ლანდსკრონა-ოსტერი | 1:2 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| იუვიასკიულა-ჰიკ | 0:3 |
| ჰაკა-ვაასა | 0:1 |
| ტურკუ-იარო | 2:3 |
| ჰონკა-ინტერი | 2:1 |
| მარიეჰამნი-მიუპა | 0:0 |
| კუოპიო-ლაჰტი | 1:2 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| იიპო-ჰამეენლინა | 3:1 |
| პკ35-კოტეპე | 2:1 |
| ოულუ-სეინაიოკი | 3:1 |
| ჰიფკ-ოპს | 1:1 |
| როვანიემი-ვიიკინგიტი | 2:0 |

#### ისლანდია

| | |
|---|---|
| კეფლავიკი-ჰაფნარი | 2:4 |
| რეიკიავიკი-სელფოსი | 3:1 |
| ბრეიდალიკი-გრინდავიკი | 2:0 |

#### ბელარუსი

| | |
|---|---|
| შახტიორი-სლავია | 5:0 |

#### ესტონეთი

| | |
|---|---|
| კალევი-კალიუ | 0:5 |
| ტამეკა-ფლორა | 0:2 |
| ტულევიკი-პაიდე | 0:2 |
| ლევადია-სილამაე | 1:1 |
| კურესაარე-ტრანს ნარვა | 0:0 |

#### ლატვია

| | |
|---|---|
| გულბენე-სპარტაკსი | 0:3 |
| იურმალა-მეტა | 0:0 |
| დაუგავა-იელგავა | 2:0 |
| მეტალურგსი-სკონტო | 0:1 |
| დაუგავა რიგა-ვენტსპილსი | 1:4 |

#### ლიტვა

| | |
|---|---|
| ტაურასი-ბანგა | 3:2 |
| სუდუვა-კრუოია | 0:1 |
| ჟალგირისი-ვილნიუსი | 0:1 |
| ეკრანასი-ატლანტასი | 2:0 |

#### არგენტინა

| | |
|---|---|
| სან მარტინი-ნიუელსი | 2:1 |
| ბელგრანო-ბანფილდი | 3:1 |
| ესტუდიანტესი-ოლიმპო | 1:0 |
| არგ. ხუნიორსი-ოლ ბოისი | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-სან ლორენსო | 0:0 |
| ატ. რაფაელა-რასინგი | 4:2 |

#### ბრაზილია

| | |
|---|---|
| ინტერნასიონალი-ბოტაფოგო | 1:2 |
| კრუზეირო-ფიგეირენსე | 1:0 |
| ბაია-სპორტ რესიფე | 2:1 |
| ფლამენგო-სანტოსი | 1:0 |
| პალმეირასი-ვასკო | 1:1 |
| სან პაულუ-ატ. მინეირო | 1:0 |

#### ჩილე

| | |
|---|---|
| უნ. ესპანიოლა-ო'ჰიგინსი | 1:0 |
| კოლო კოლო-უნ. დე ჩილე | 2:0 |

#### ეკვადორი

| | |
|---|---|
| დეპ. მაკარა-ლიდა დე ლოხა | 1:1 |
| დეპ. კიტო-ემელეკი | 2:1 |
| ოლმედო-დეპ. კუენკა | 1:0 |
| ინდეპენდიენტე-ლდუ კიტო | 2:2 |
| მანტა-ტექ. უნივერსიტარიო | 1:0 |

#### პარაგვაი

| | |
|---|---|
| ტაკუარი-ოლიმპია | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-ლუკენიო | 1:1 |
| ნასიონალი-დეპ. კარაპეგუა | 3:1 |
| რუბიო ნუ-სერო პორტენიო | 1:2 |
| გუარანი-სოლ დე ამერიკა | 2:1 |

#### პერუ

| | |
|---|---|
| რეალ გარსილასო-სპორტი | 2:0 |
| სან მარტინი-მელგარი | 0:0 |
| სპორტ ბოისი-სენსიანო | 1:1 |
| ხუან აურიჩი-ხოსე გალვესი | 1:2 |
| კობრესოლი-სპ. კრისტალი | 1:0 |
| ლეონი-ალ. ლიმა | 0:0 |

#### ურუგვაი

| | |
|---|---|
| ნასიონალი-დეფენსორი | 1:0 |

#### აშშ

| | |
|---|---|
| ვანკუვერი-კოლორადო | 1:0 |
| ფილადელფია-დი სი იუნაიტედი | 0:1 |
| ნიუ ინგლენდი-კოლამბუსი | 0:0 |
| მონრეალი-სიეტლი | 4:1 |
| ჰიუსტონი-დალასი | 2:1 |
| კანზასი-ტორონტო | 2:0 |
| ჩივასი-სოლტ ლეიკი | 0:2 |

#### იაპონია

| | |
|---|---|
| ვეგალტა-საპორო | 4:1 |
| კაშიმა-ნაგოია | 2:3 |
| ნიიგატა-შიმიცუ | 1:0 |
| იოკოჰამა-ტოკიო | 1:0 |
| ივატა-კობე | 1:3 |
| სერეზო-ჰიროშიმა | 1:4 |
| საგანი-კავასაკი | 0:1 |
| ომიია-კაშივა | 2:4 |
| გამბა-ურავა | 1:2 |

### კალათბურთი

#### იტალია

| | |
|---|---|
| მონტეპასკი-მილანი | 84:73 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| შალონი-ლე მანი | 95:76 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ბარსელონა-რეალი | 73:69 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ჰალე

| | |
|---|---|
| იუჟნი-**ფედერერი** | 1:6, 4:6 |
| კოლშრაიბერი-**ჰაასი** | 6:7, 5:7 |
| **ჰაასი**-ფედერერი | 7:6, 6:4 |

#### ATP. ლონდონი

| | |
|---|---|
| **ჩილიჩი**-კუერი | 6:3, 3:6, 6:3 |
| დიმიტროვი-**ნალბანდიანი** | 4:6, 4:6 |
| ნალბანდინი-**ჩილიჩი** | 7:6, 3:4 დისკვ. |

#### ATP. ჰერტოგენბოში

| | |
|---|---|
| **სისლინგი**-ნიემინენი | 6:2, 6:4 |
| ხირალდო-**მიულერი** | 6:7, 7:6, 3:6 |

#### WTA. ბად გაშტეინი

| | |
|---|---|
| **კორნე**-პერვაკი | 6:2, 6:2 |
| მინელა-**ვიკმაიერი** | 6:7, 3:6 |
| **კორნე**-ვიკმაიერი | 7:5, 7:6 |

#### WTA. ბირმინგემი

| | |
|---|---|
| ვინჩი-**ჟენგი** | 3:6, 7:5, 4:6 |
| **მაკაროვა**-ჰსიე | 3:6, 6:3, 6:3 |
| **იუდინი**-ფალკონი | 6:4, 5:7, 7:5 |
| დოი-**იანკოვიჩი** | 3:6, 4:6 |
| მაკაროვა-**იუდინი** | 4:6, 6:3, 2:6 |
| **იანკოვიჩი**-ჟენგი | 6:7, 7:5, 6:1 |

#### WTA. ჰერტოგენბოში

| | |
|---|---|
| გოვორცოვა-**პენეტა** | 6:2, 1:6, 1:6 |
| ჰალეპი-**მედინა გარიგესი** | 6:7, 3:6 |
| ოპრანდი-**კლაისტერსი** | 7:6, 2:6, 3:6 |

## TV პროგრამა

### 18 ივნისი. ორშაბათი

#### I არხი

22:35 ფეხბურთი. ევრო 2012. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი (LIVE).

#### II არხი

22:35 ფეხბურთი. ევრო 2012. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი (LIVE).

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-უდინეზე.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-სიენა.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-არსენალი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ევერტონი.
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-რეალი.
**23:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-დიჟონი.
**01:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა. III მატჩი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბარსელონა.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ლონდონ აირიში-კარდიფ ბლუზი.
**19:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**20:00** სპორტ-NEWS.
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-იუვენტუსი.
**23:00** NBA Action.
**23:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა. III მატჩი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. ქალები. ლონდონი. ინგლისი.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-უელსი.
**15:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**17:45** სპორტ-NEWS.
**18:00** ფეხბურთი. გერმანიის თასი.
**20:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-ინგლისი.
**22:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.

ჩოგბურთი


დავით ნალბანდიანი

# დაჭრილი მსაჯი და დამარცხებული ფედერერი

## ლონდონის ფინალში დავიდ ნალბანდიანმა დისკვალიფიკაცია მიიღო

ქაოტურად განვითარდა მოვლენები გასულ კვირას ლონდონისა და ჰალეს ბალახის კორტებზე. მიუხედავად იმისა, რომ **ნოვაკ ჯოკოვიჩის** გარდა, ამ ტურნირებზე მსოფლიოს ელიტის ყველა წარმომადგენელმა მოიყარა თავი, ტრიუმფატორები რეიტინგის ტოპ-ოცეულის მიღმა მყოფი ჩოგბურთელები აღმოჩნდნენ.

მსოფლიოს მეორე და მესამე ჩოგნები - **რაფა ნადალი** და **როჯერ ფედერერი** ჰალეში ჩავიდნენ და იქ ყველანი მათი ფინალის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ გულშემატკივრები ესპანელმა დაალალატა - მან ორ სეტში წააგო მეოთხედფინალი ტურნირის მოქმედ ჩემპიონთან **ფილიპ კოლშრაიბერთან**. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ნახევარფინალში 34 წლის **ტომი ჰაასთან** დამარცხდა.

ჰაასის პროგრესი ჰალეში ყველაზე დიდ მოულოდნელობად მიიჩნიეს. თუმცა ერთ დროს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი მხოლოდ ფინალში გასვლით არ დაკმაყოფილდა და იქ საათსა და 35 წუთში დაამარცხა ფედერერი.

პირველ პარტიაში შვეიცარიელი ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ ტომიმ თანაფარდობა აღადგინა და ტაი-ბრეიკზე გაიმარჯვა. მეორე პარტიაში ასევე დაძაბული ბრძოლა იყო და იქ როჯერისთვის საბედისწერო აღმოჩნდა მეცხრე გეიმი, რომელშიც ჰაასმა ბრეიკი გააკეთა და შემდეგ მატჩზე ჩაანოდა - 7:6(5), 6:4.

ფედერერმა ვერ შეძლო ჰალეს ტურნირის მეექვსედ მოგება, სამაგიეროდ, გერმანელმა აქ მეორედ იმარჯვა. ურთიერთშეხვედრებში როჯერი ტომის 10:3-ს უგებს.

■ ■ ■

სკანდალით დასრულდა ლონდონის ტურნირის ფინალი. აქაც ბევრი სენსაცია მოხდა - „ქუინზ კლაბის“ კორტებზე ნაადრევი რაუნდებიდან გამოეთიშნენ ბრძოლას **ენდი მიურეი, ტომაშ ბერდიხი, ჟო-ვილფრიდ ცონგა**... ასეთი მოულოდნელი შედეგების გამო, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ხორვატმა **მარინ ჩილიჩმა** და არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა**.

პირველი სეტი სამხრეთამერიკელმა ტაი-ბრეიკზე მოიგო. მეორეში, 3:3-ზე ნალბანდიანმა თავისი მოწოდება წააგო და გაბრაზებულმა ჩოგანი კორტზე დაახეთქა. შემდეგ სარეკლამო ბანერს წიხლი ჩასცხო, რომლის ნამსხვრევებმაც ხაზის მსაჯს ფეხი გაუჭრა. კორტზე ტურნირის მთავარი მსაჯი გავიდა და მცირეხნიანი ფიქრის შემდეგ, არგენტინელს დისკვალიფიკაცია მისცა.

ჩილიჩმა სეზონში პირველი და პროფესიულ კარიერაში მეშვიდე ტიტული მოიპოვა.

# როჯერმა რიო დაგეგმა

## ფედერერი 2016 წლამდე წასვლას არ აპირებს

ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** მინიმუმ 2016 წლის ოლიმპიადამდე აპირებს თამაშს, რომელიც რიო-დე-ჟანეიროში გაიმართება.

*„რატომ უნდა იყოს ლონდონის თამაშები ჩემთვის დასასრული?* - სვამს კითხვას ფედერერი Die Welt-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *რატომ არ შეიძლება, რომ რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადამდე გავაგრძელო კარიერა? იმ მომენტისთვის ხომ მხოლოდ 35 წლის ვიქნები. ბევრ ჩოგბურთელს ამ ასაკში დიდი შედეგებისთვის მიუღწევია. მაგალითად, ანდრე აგასის. ამ ასაკში ის ჯერ კიდევ აწესებდა მაღალ სტანდარტებს. ვიცი, რომ ბევრს ჩემში ეჭვი ეპარება, მაგრამ პირადად მე, ასე არ მგონია“.*

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ხორხეს ზედიზედ მესამე

დამაჯერებლად მიიწევს მოტოგრანპრიში მეორე საჩემპიონო ტიტულისკენ ესპანელი **ხორხე ლორენსო**. გუშინ, სილვერსტოუნზე გაიმართა სეზონის მეექვსე გრანპრი და ლორენსომ მეოთხე ტრიუმფი იზეიმა, ამასთან, ესპანელმა ზედიზედ მესამე ეტაპი მოიგო.

ბრიტანული უქმეები უცნაურად დაიწყო - შაბათს, პოული **ალვარო ბაუტისტამ** მოიგო, თუმცა გუშინ, სტარტზევე გაუშვა წინ **სპისი და სტოუნერი**. ყველაზე დიდ პროგრესს **ჰეიდენმა** მიაღწია, რომელმაც მეშვიდედან მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა.

მეორე წრეზე დოვიციოზომ პედროსა ჩამოიტოვა უკან და მეექვსე ადგილზე დამკვიდრდა. ლიდერის რანგში სპისი აკავებდა კონკურენტებს, მაგრამ შემდეგ შეცდომა დაუშვა და სტოუნერი გაატარა. მეექვსე წრეზე ლორენსომ ჰეიდენს გაუსწრო და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, რის შემდეგაც ნიკიმ **დოვიციოზოც** და **პედროსაც** გაატარა.

გავიდა კიდევ ერთი წრე და ლორენსომ ლამაზი შეტევით ბაუტისტა ჩამოიტოვა უკან, რითაც სამეულში შეაღწია. სპისი ესპანელს მაშინვე დანებდა, რის შემდეგაც ლორენსო სტოუნერს გამოედევნა.

რბოლის კულმინაცია ფინიშამდე 9 წრით ადრე დადგა: რამდენიმე მოსახვევი სტოუნერმა და ლორენსომ ერთად გაიარეს, მაგრამ ხორხე უფრო სწრაფი აღმოჩნდა და პელოტონს სათავეში ჩაუდგა. რბოლის დარჩენილ ნაწილში ესპანელი ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაშორდა ავსტრალიელს, რაც შეეხება მესამე ადგილისთვის ბრძოლას, ის პედროსამ მოიგო.

ლორენსოს გარდა, რბოლის კიდევ ერთი გმირი აღმოჩნდა ბრიტანელი **კელ კრატჩლოუ**, რომელიც ბოლო რიგიდან მეექვსე მივიდა ფინიშზე.

**ბრიტანეთის გრან-პრი**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - 20 წრე; 2. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა“) - +3,313; 3. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - +3,599; 4. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა“) - +5,196; 5. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა“) - +11,531; 6. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, „იამაჰა“) - +15,112; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - +15,527; 8. **შტეფან ბრადლი** (გერ, „ჰონდა“) - +22,521; 9. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი“) - +36,138; 10. **ექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი“) - +41,328...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - 140 ქულა; 2. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა“) - 115; 3. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - 101; 4. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, „იამაჰა“) - 66; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა“) - 60; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი“) - 58; 7. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა“) - 58; 8. **შტეფან ბრადლი** (გერ, „ჰონდა“) - 51; 9. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - 49; 10. **ექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი“) - 37...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ხორხე ლორენსო

ავტოსპორტი


კრეიგ ბრინის პეჟო

# ტრაგედია იტალიაში

24 წლის ბრიტანელი ავტომრბოლი **გარეტ რობერტსი** რალი IRC-ის სერიის მორიგი ეტაპის დროს დაიღუპა. ტრაგედია იტალიის ქალაქ ტარგა ფლორიოში ერთ-ერთი სპეცმონაკვეთის დროს მოხდა.

რობერტსი შტურმანის როლს ასრულებდა „პეჟოს“ მანქანაში, რომელსაც **კრეიგ ბრინი** მართავდა. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ მოსახვევში ავტომობილზე კონტროლი დაკარგა და მარჯვენა მხრიდან დიდი სიჩქარით შეეჯახა გზის დამცავ ბარიერს. სიჩქარე იმდენად მაღალი იყო, რომ უსაფრთხოების რელსმა მანქანის კორპუსი გახვრიტა და შტურმანს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მძღოლი აბსოლუტურად უვნებელი გადარჩა.

*„ეს ძალიან სამწუხარო უბედური შემთხვევაა, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ავტოსპორტი ძალიან სახიფათოა. ავარიამ სავალალო შედეგი შეიძლება მოიტანოს როგორც პილოტისთვის, ასევე შტურმანისთვის. ყველაზე ხშირად სწორედ შტურმანი ზარალდება. ასე იყო 2005 წელს, როცა ბრიტანეთის რალიზე მაიკლ პარკი დაიღუპა“*, - განაცხადა IRC-ის მენეჯერმა ჟან-პიერ ნიკოლმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ავარია თითქმის იდენტური იყო იმ კატასტროფისა, რომელშიც სერიოზული ტრავმა მიიღო ფორმულა 1-ის პოლონელმა პილოტმა **რობერტ კუბიცამ**, თუმცა ამ უკანასკნელს უფრო მეტად გაუმართლა და ცოცხალი დარჩა.




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზქდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608